ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 6 მაისი, 2019 №105 (8059) ფასი: 60 თეთრი

85 წლის ომარ გამყრელიძე: „ეშმაკები მყავდა, ეშმაკები თავში მირტყამდნენ რაღაცებს“

გვ.7

პროკურორი: „მკვლელობის დროს 2 იარაღია გამოყენებული“

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ოცნება“ გასაქცევად ემზადება“

სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლების წარმომადგენლებმა ათენთან ახლოს მთელი სანაპირო ზოლი იყიდეს“

„მინისტრებმა შეიძლება გაიხადონ და შიშვლებმა ირბინონ“

გვ.2

მამუკა არეშიძე: „გომელაურსა და გახარიას დაპირისპირება არ აქვთ“

გვ.4

„ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობამ გარკვეული პროფესიონალიზმი და გამოცდილება შეიძინა“

საქართველოში მცხოვრებ „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა შემცირდა

გვ.5

ლევან ალაფიშვილი: „ლევან მურუსიძე „ოცნების“ სიის პირველი ნომერი შეიძლება გახდეს“

გვ.4

სამართალი

გვ.5

რიკოთზე ანტალია-თბილისის სამგზავრო ავტობუსი დაიწვა

აჭარაში მამაკაცმა ორ პატარა ბიჭზე სექსუალურად იძალადა

გვ.7



ირინა ონაშვილის გაქურდვის ბრალდებით დაკავებული ნათია მირუაშვილი გამოუშვეს

გვ.7

67 წლის იზოლდა უძილაური 34 წლის რამაზ უძილაურს გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს

ეკონომიკა

გვ.6

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის აზრით, „ქართული ოცნება“ ქვეყანას არაეფექტურად მართავს

ბახტაძე: „საქართველოში 600 ათასი ადამიანი დაცულია კრედიტორების წნეხისაგან“

„ბიუჯეტს დაბალშემოსავლიანი ადამიანების ხარჯზე ვავსებთ და მერე გვიკვირს, რატომ ცხოვრობს ეს ხალხი ცუდად“

ISSN 1987-9385

3 ევროპელი ანალიტიკოსები: „საქართველოში გაძლიერებულია რუსეთის პროპაგანდა“

5 დავითგარეჯში სამოქალაქო აქტივისტებმა კიდევ ერთი ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს

5 „ამერიკული სამხედრო ბაზები სალომე ზურაბიშვილს იმპიჩმენტამდე მიიყვანს“

8 როდის შედგება ზელენსკის ინაუგურაცია?

„ოცნება“ გასაქცევად ემზადება“

სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლების წარმომადგენლებმა ათენთან ახლოს მთელი სანაპირო ზოლი იყიდეს“

შორენა მარსაგიშვილი



რატომ უნდა ამოუკერონ პირი სალომე ზურაბიშვილს, რა ინტრიგებს ხლართავს საპატრიარქოში შორენა თეთრუაშვილი, რა ხდება „ოცნების“ კულუარებში და რისთვის ემზადება ხელისუფლება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

– როდესაც „ოცნებაში“ ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდა, თქვენ თქვით, რომ ის ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებდა. გამართლდა თქვენი პროგნოზი თუ შეძლო ამ ადამიანმა რამის შეცვლა?

– სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა. „ქართულ ოცნებაში“ დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ მათ ირაკლი ღარიბაშვილი კი არა, დავით აღმაშენებელიც ვერ უშველის. ეს პარტია უკვე დამთავრებულია და ამის ოფიციალურად გაფორმება მხოლოდ დროის ამბავია.

დღეისთვის „ქართული ოცნება“ არის ჩვეულებრივი ჭაობი, სადაც გომბეშოებმა და წურბელებმა დაიდეს ბინა. ეს წურბელები ივანიშვილს სწოვენ სისხლს ანუ ფინანსებს.

ეს ადამიანები ახლა პირდაპირ საშოვარზე არიან გადასული, მათ გასაქცევად აქვთ საქმე და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი იშოვონ, რათა როცა ხელისუფლებიდან წავლენ, უზრუნველად გააგრძელონ ცხოვრება საზღვარგარეთ.

– თქვენ ადრეც გითქვამთ, „ოცნებას“ მძიმედ აქვს საქმეო, მაგრამ გაქცევა არასდროს გიხსენებიათ. მართლა ასეთ მძიმე სიტუაციაშია მმართველი გუნდი?

– „ოცნების“ დიდი ნაწილი გასაქცევად ემზადება. მათ ნებისმიერ დროს შეიძლება დატოვონ ქვეყანა.

– რა კატეგორიის მეოცნებეები აპირებენ ქვეყნიდან გაქცევას?

– პირველ რიგში ისინი გაიქცევიან, ვინც ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდა. ჩვენ ვიცით ბევრი დეპუტატი და მინისტრი, რომლებმაც სწორედ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დააგროვეს მილიონები. ისინი, რა თქმა უნდა, გაიქცევიან.

წესიერი ადამიანები ამ ხელისუფლებაშიც არიან. მათ არც მილიონები უშოვიათ და არც ხალხი გაუძარცვავთ. ასეთ ხალხს გაქცევა არ მოუწევს.

კორუფცია „ოცნების“ ხელისუფლებას ყოველთვის თან სდევდა, მაგრამ ახლა კორუფციის განსაკუთრებულ მწვავე სტადიასთან გვაქვს საქმე. როცა ამა თუ იმ პოლიტიკურ გუნდს აქვს იმის იმედი, რომ ხელისუფლებაში დარჩება, ის ფრთხილობს და რაღაცებისგან თავს იკავებს.

როდესაც პარტიამ იცის, რომ მისი დღეები დათვლილია და წასვლა გარდაუვალია, მის წევრებს ყველანაირი სიფრთხილე დაკარგული აქვთ და პირდაპირ ქონების მოხვეჭაზე არიან გადასული.

„ოცნების“ კორუმპირებულ ჩინოსნებს იმის იმედიც აქვთ, რომ მათ ყველაფერი შერჩებათ, ისევე, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის ჩინოსნებს შერჩათ.

მაგალითისთვის ავიღოთ ვანო ჩხარტიშვილი. მასზე კორუმპირებული ადამიანი შევარდნაძის მთავრობაშიც კი ძნელად მოიძებნებოდა. იმის ნაცვლად, რომ პასუხისგებაში მიეცათ, ეს კაცი ყველას მოერგო და დღემდე თავზე აზის საქართველოს.

ხალხისა და ქვეყნისთვის მოპარული მილიონები სხვებსაც კარგად შერჩათ. დღეს ამ მძარცველებს ბიზნესმენები ჰქვიათ.

– თუ იმის იმედი აქვთ, რომ შერჩებათ, გასაქცევად რატომ ემზადებიან?

– მათ ხომ არ იციან, ვინ მოვა ხელისუფლებაში. შეიძლება, ისეთი ძალა მოვიდეს, რომელიც ამათ მიტაცებულ ქონებას წაართმევს. ამიტომ წავლენ საზღვარგარეთ, იქ დააბინავებენ ქონებას და მერე დაბრუნდებიან.

შეიძლება, არც დაბრუნდნენ, არ არის ეს ის ხალხი, ვისაც ქართული მიწა მოენატრება. მათთვის სულ ერთია, სად იცხოვრებენ.

ნორმალური გამოძიება რომ ჩატარდეს, ვნახავდით, თუ რამდენი მილიონია გადარიცხული საქართველოს მთავრობის წევრების მიერ საზღვარგარეთის ბანკებში.

მათ უცხოეთში უძრავი ქონებაც შეიძინეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საბერძნეთში, ათენთან ახლოს, ლამის ნახევარი სანაპირო ზოლი იყიდეს მოქმედმა მაღალჩინოსნებმა.

მაშინ, როცა ესენი ქონების დაგროვებით არიან დაკავებული, საქართველო ჭაობში იძირება. ყველა მიმართულებით სტაგნაციაა. სრული კატასტროფა გვაქვს საგარეო ფრონტზე.

– საგარეო ფრონტზე დავითგარეჯთან დაკავშირებულ მოვლენებს გულისხმობთ?

– არა მარტო ამას. დავითგარეჯთან დაკავშირებით სრული ბაკქანალია დაიწყო სალომე ზურაბიშვილის გაუაზრებელი განცხადებების გამო.

შემიძლია, თამამად მოვითხოვო, რომ საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ რეზიდენტს პირი ამოუკერონ. სხვა გზა ელემენტარულად აღარ დატოვა – რამდენჯერაც ხმა ამოიღო, იმდენჯერ ქვეყანას შეუქმნა პრობლემები.

„სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის ყოველი დღე საქართველოსთვის საფრთხის შემცველია. არის ასეთი გამოთქმა – ბავშვს ასანთი არ უნდა მისცე, სახლი რომ არ გადაწვას. ასევე არ შეიძლება სალომესთვის ასანთის მიცემა. მან შეიძლება ქვეყანა გადაწვას“

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ეს ქალი არის არაადეკვატური. ის არაადეკვატური იყო მაშინაც, როცა მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა. არაადეკვატური იყო ოპოზიციაში ყოფნის დროსაც. მაშინ მისი ყველა ქმედება იყო არაადეკვატურობის პიკი.

სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის ყოველი დღე საქართველოსთვის არის საფრთხის შემცველი. არის ასეთი გამოთქმა – ბავშვს ასანთი არ უნდა მისცე, სახლი რომ არ გადაწვას. ასევე არ შეიძლება სალომესთვის ასანთის მიცემა, მან შეიძლება ქვეყანა გადაწვას.

პირს თუ არ ამოუკერავენ, ის საქართველოს ძალიან ბევრ და სერიოზულ პრობლემას შეუქმნის.

„მინისტრებმა შეიძლება გაიხადონ და შიშვლებმა ირბინონ“

საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, რომ დავითგარეჯის თემა დააიგნოროს. წარმოიდგინეთ, რამხელა პრობლემის წინაშე ვდგავართ და საქართველოს პრემიერ-მინისტრს განცხადება არ გაუკეთებია. იქ ჩასვლაზე ხომ ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ მამუკა ბახტაძე ასტრალშია გასული. ერთი მხრივ, მესმის კიდეც მისი – არავინ არაფერს ეკითხება. სხვა თანამდებობაზე რომ ემუშავა, შეიძლება ძალიან კარგად წარმოეჩინა თავი.

– ის მთავრობაში რკინიგზიდან მოიყვანეს და ვერც იქ გაიბრწყინა დიდად.

– რკინიგზაშიც არაფერს ეკითხებოდნენ. იქ ბიძინა ივანიშვილის ნათესავები განაგებენ ყველაფერს.

საგარეო საქმეთა მინისტრი საერთოდ სხვა თემაა. პოლიტიკაში მოღვაწეობის დროს კარგი, ცუდი და ცუდზე ცუდი საგარეო საქმეთა მინისტრები მინახავს. დავით ზალკალიანთან მიმართებით ვერც ერთ შეფასებას ვერ გამოვიყენებ – ეს ადამიანი, უბრალოდ, ცარიელი ადგილია.

არაფრის გამკეთებელი ხალხი მთავრობაში – ეს ივანიშვილის ტაქტიკა გახლავთ. მას უნდა, რომ თანამდებობებზე ცარიელი ადგილები ჰყავდეს. ამით ის დიდ სარგებელს ნახულობს.

ამასობაში ჩვენ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოგვეშალა. არ გამოვრიცხავ, რომ ისეთი პრობლემა, როგორიც დღეს დავითგარეჯშია, საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც წარმოიშვას.

როდესაც მეზობელი სახელმწიფოები იგრძნობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს, მათი მხრიდან განხორციელდება გარკვეული ტიპის ქმედებები.

ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მასთან აუცილებლად უნდა გვქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობები. მთელი ამ წლების განმავლობაში მასთან არანაირი კონფლიქტი არ გვქონია, პირიქით, სულ ერთმანეთს ვეხმარებოდით.

ჩვენ შორის იყო ევროპული ტიპის, დაბალანსებული პოლიტიკა. რამდენი სისულელე უნდა გაეკეთებინა ჩვენს ხელისუფლებას, რომ ეს ყველაფერი წყალში ჩაეყარა.

ის, რომ აზერბაიჯანმა ამ ურთიერთობებს ხაზი გადაუსვა, ეს, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლების ბრალია.

– ამ სისულელეებს ჩვენი ხელისუფლება უნებურად ჩადის თუ შეგნებულად?

– ამას შეგნებულად აკეთებენ ამათი პატრონები. დამოუკიდებლად მათ გადაწყვეტილების მიღების არც თავი აქვთ და არც უფლება.

პატრონები ხელისუფლების წარმომადგენლებს ამდენ სისულელეს იმიტომ აკეთებინებენ, რომ ერთი მიზანი აქვთ – საქართველოში გამუდმებით ქაოსი უნდა იყოს. ამათ უნდათ, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა კიდევ უფრო დაირღვეს.

თავად ვიყავი მთავრობის წევრი და კარგად მახსოვს, რა ხდებოდა იქ. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორი მინური მორჩილებით შეჰყურებენ სხვა ქვეყნების ელჩებს.

ელჩმა რომელიმე მინისტრს რომ უთხრას, გაიხადე და რუსთაველის გამზირზე შიშველმა ირბინეო, გაიხდის და ირბენს, თან არც იკითხავს, რისთვის არის ეს ყველაფერი საჭირო.

ჩვენი თავი რომ ჩვენადვე არ გვეყუდვნის, ეს უკვე ვიცით, მაგრამ რანაირად შეიძლება, ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის მარიონეტი ხელისუფლება გვყავდეს.

რუსეთი მოითხოვს რამეს, უსრულებენ, არც ამერიკას ეუბნებიან უარს. ხვალ ჩინეთმა რომ მოსთხოვოს რამე, იმასაც ულაპარაკოდ შეუსრულებენ მოთხოვნას.

ასე იმიტომ იქცევიან, რომ საკუთარი ქონების დაცვა უნდათ. ამ მხრივ გამორჩეულია ივანიშვილი. ოღონდ მისი ქონება იყოს უსაფრთხოდ და საქართველოს ხელისუფლება ყველასთან დათმობაზე მიდის.

საქართველოს მოსახლეობა ამათი მრავალმილიარდიანი ქონების მომსახურე პერსონალი გავხდით.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ის გეიაღლუმი, რომელიც საქართველოში 18 ივნისის შემდეგ უნდა გაიმართოს. ბევრი ჩემი მეგობარი მეუბნება, რომ მათ თავი დავანებო და არ არის საჭირო სხვისი უკანალის დევნა.

არავის უკანალს არ დავდევთ და არც სექსუალურ უმცირესობებთან ვარკვევთ ჩვენს ურთიერთობებს. ამას იმიტომ ვეწინააღმდეგებით, რომ ეს ყოველივე პოლიტიკური აქტია.

„მაშინ, როცა ესენი ქონების დაგროვებით არიან დაკავებული, საქართველო ჭაობში იძირება. ყველა მიმართულებით სტაგნაციაა. სრული კატასტროფა გვაქვს საგარეო ფრონტზე“

ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ დაიწყოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის რღვევა. როგორც კი აქ გეიაღლუმი გაიმართება, ყველა ის სულიერი ღირებულებები ჩამოიშლება, რაზეც ქართული სახელმწიფო დგას.

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ეკლესია ძალიან ცუდ დღეში ჩავარდება. ეკლესია ვახსენე და აქვე პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ თუ საქართველოში გეიაღლუმი ჩატარდა, ეს იქნება საპატრიარქოში მოკალათებული შორენა თეთრუაშვილის დამსახურება.

ეს ქალი საპატრიარქოში საბჭოთა პერიოდიდან არის ჩანერგილი. ყველა იმ საშინელებაში, რაც საპატრიარქოსთან დაკავშირებით მომხდარა, ყველაფერში ციანიდის დედოფლის ხელი ურევია.

როდესაც თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო, დედები, რომელთა ნაწილი გამსახურდიას ემხრობოდა, ხოლო ნაწილი პუტჩისტებს, საპატრიარქოში მივიდნენ და მუხლებზე დაჩოქილები იხვეწებოდნენ, სასულიერო პირები გამოსულიყვნენ და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩამდგარიყვნენ, რათა ძმათამკვლელი ომი შეეჩერებინათ.

შორენა თეთრუაშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც ეს დედები საპატრიარქოდან გამოყარა.

შორენა თეთრუაშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს ცეკვით შეხვდა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას. მოგვიანებით ამის აღსანიშნავად დიდი სუფრაც გაშალა, რომელსაც თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ესწრებოდნენ საპატიო სტუმრების რანგში.

შორენა თეთრუაშვილი გახლავთ ადამიანი, რომელმაც საქართველოს საპატრიარქო არნახულ სკანდალში გახვია. ციანიდის სკანდალის უკან სწორედ ის დგას.

სირცხვილია, რომ ეს ადამიანი დღეს საპატრიარქოშია. შორენა ის ქალია, რომლის გზაც ტაძრამდე არ მიგვიყვანს, სამაგიეროდ, მიგვიყვანს ლუბიანკამდე, სადაც მისი საყვარელი კაგებეს შენობა დგას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

საქართველოში მცხოვრებ „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა შემცირდა

საქართველოში მცხოვრებ „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა და გავლენები 2018 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტერორისტული საფრთხის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია.

ამის შესახებ სუს-ის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, სადაც წლიური ანგარიში წარადგინა.

– გასულ წელს საქართველოსთვის, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, ძირითად ტერორისტულ გამოწვევას „ისლამური სახელმწიფო“ და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებები წარმოადგენდნენ. ტერორისტული ორგანიზაცია აგრძელებდა, დასუსტებისა და ტერიტორიული დანაკარგების შემდეგ შემუშავებული, ახალი სტრატეგიით მოქმედებას. აღნიშნულის ფარგლებში, ტერორისტების მოქმედების მთავარ იარაღად იქცა კონფლიქტის ზონის მიღმა ტერორისტული აქტების განხორციელება და ინტერნეტის გამოყენებით პირთა რადიკალიზაცია. ზემოაღნიშნული და სხვა ტიპის ტერორისტული საფრთხეების გამოვლენის და მათთან გამკლავების მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად ახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს. მიმდინარეობდა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების დადგენა და მათი მხრიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა, – განაცხადა გომელაურმა.

მისივე თქმით, „ორგანიზაციის სავარაუდო მხარდამჭერები განიცდიან იდეოლოგიურ და ფინანსურ კრიზისს“.

– ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა და გავლენები 2018 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. ორგანიზაციის სავარაუდო მხარდამჭერები განიცდიან იდეოლოგიურ და ფინანსურ კრიზისს. აღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტერორისტული საფრთხის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია. შესაბამისად, საფრთხეების გამოვლენის, მათი პრევენციისა და აღკვეთის მიზნით საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები, – განაცხადა გომელაურმა.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ყველა არსებულ მექანიზმს იყენებს, რათა საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით, გასულ წელს არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის საქმეებთან დაკავშირებით საოკუპაციო ძალისა და დე ფაქტო რეჟიმების მხრიდან დამნაშავეების დასჯის მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა.

– გასულ წელს არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას და დავით ბაშარულის უაღრესად მნიშვნელოვან საქმეებთან დაკავშირებით, საოკუპაციო ძალისა და დე ფაქტო რეჟიმების მხრიდან სიმართლის დადგენისა და დამნაშავეების დასჯის მიმართულებით ნაბიჯები კვლავ არ გადადგმულა. ოკუპაციის მძიმე შედეგს წარმოადგენს 2019 წლის 10 მარტს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული და მოგვიანებით გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ირაკლი კვარაცხელიას საქმე. უსაფრთხოების სამსახური იყენებს ყველა არსებულ მექანიზმს, რათა მოხდეს კვარაცხელიას დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებული ობიექტური გარემოებების დადგენა, ხოლო საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებული ყველა პირი წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე, – განაცხადა გომელაურმა.

მისივე თქმით, 2018 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ მართული სახიფათო ტენდენცია გამოიკვეთა, რაც IPRM-ის შეხვედრებისთვის პრობლემების მიზანმიმართულად შექმნაში გამოიხატებოდა.

– დე ფაქტო რეჟიმებისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა შეხვედრების დღის წესრიგიდან, ულტიმატუმის სახით, ოთხოზორიას, ტატუნაშვილის და ბაშარულის საკითხების ამოღება მოითხოვეს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ მათ IPRM-ის შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შედეგად, 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ გალის შეხვედრები კვლავ შეწყვეტილია. შესაბამის უწყებებთან ერთობლივი ძალისხმევითა და საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით კი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) დახმარებით, 2-თვიანი პაუზის შემდეგ აღდგა შეხვედრები ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური IPRM-ის შეხვედრებს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად განიხილავს. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნული შეხვედრებისა და მისი ფუნდამენტური პრინციპების წინააღმდეგ იქნება მიმართული, სამსახურის მიერ აღიქმება მიზანმიმართულ პროვოკაციად. უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობებთან, – განაცხადა მან.

ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოსთვის უპირველეს გამოწვევად რჩება, – ამის შესახებ ვახტანგ გომელაურმა განაცხადა. – 2018 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ რუსეთის ფედერაციის მიდგომები არ შეცვლილა და ის კვლავ გამოიხატებოდა არაფორმალური ანექსიის პოლიტიკის გატარებაში. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე ე.წ. პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები სრულად კონტროლდებოდა და მართული იყო საოკუპაციო ძალის მიერ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

როგორც გომელაურმა აღნიშნა, ოკუპირებულ რეგიონებში წარმოდგენილი რუსული სამხედრო კონტინგენტისა და სპეცსამსახურების აქტივობები გამოწვევას წარმოადგენს როგორც საქართველოსა და კავკასიის რეგიონის, ისე ევროპის უსაფრთხოებისთვის.

როგორც გომელაურმა წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა:

– 2018 წელს სამსახურის კონტრდაზვერვითი საქმიანობა მიმართული იყო უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობის და დაინტერესების სფეროების დადგენისაკენ.

ტარდებოდა შესაბამისი კონტრდაზვერვითი ღონისძიებები აღნიშნული სპეცსამსახურების მხრიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით.

მისი თქმით, „მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სხვადასხვა აქტორების მხრიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები“.

– „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები მიზნად ისახავდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებას, მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას, საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების გაუარესებას რეგიონის ქვეყნებსა და სტრატეგიულ პარტნიორებთან, ჩვენი ქვეყნის, როგორც დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს იმიჯის შელახვას და სხვა. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, მათი მხრიდან ხდებოდა დესტრუქციული პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების, ასევე მედიასაშუალებებისა და სოციალური ქსელების აქტიური გამოყენება.

ასევე, სუს-ის ხელმძღვანელის განცხადებით, „2018 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალის მხრიდან ადგილი ჰქონდა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ფარული ოპერაციების ჩასატარებლად გამოყენების მცდელობებს“.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საანგარიშო პერიოდში, ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების, აღკვეთის, ასევე მათგან მომდინარე შედეგების განეიტრალების მიმართულებით. 2018 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალის მხრიდან ადგილი ჰქონდა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ფარული ოპერაციების ჩასატარებლად გამოყენების მცდელობებს. აღნიშნული რეგიონებიდან მომდინარეობდა პროვოკაციული და დესტრუქციული ხასიათის ქმედებების ინსპირირებისა და დესტაბილიზაციის კერების შექმნის საფრთხე“, – განაცხადა გომელაურმა.

ვახტანგ გომელაური: „მე და გახარიას შორის არანაირი დაპირისპირება არ არის“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური ჭორს უწოდებს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მას და შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას შორის დაპირისპირებაა.

როგორც გომელაურმა პარლამენტში ჟურნალისტებს განუცხადა, მას გიორგი გახარიასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

– არანაირი დაპირისპირება არ არის. ჩემი ძალიან კარგი, დიდი ხნის მეგობარია გიორგი. დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. ასევე, მარტო ჩვენი ურთიერთობა არა, ჩვენი უწყებებიც ასეა არიან ერთმანეთთან. მართლაც, ერთმანეთის გარეშე, ცალ-ცალკე მუშაობა ურთულესი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის. ეს არის ერთი სისტემა, თითქმის ერთი ორგანიზმია, მით უმეტეს, მე და გიორგი პიროვნულად ძალიან კარგი მეგობრები ვართ. ასე რომ, ეს, რა თქმა უნდა, ჭორებია, – განაცხადა გომელაურმა.

ევროპელი ანალიტიკოსები: „საქართველოში გაძლიერებულია რუსეთის პროპაგანდა“

შემოვა თუ არა ევროპული ინვესტიციები საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

შექმნილ რთულ სიტუაციაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეჩერების საკითხი და გაურკვეველია ევროპაში წასული ბევრი ქართველის ბედი. პოლონელი ანალიტიკოსები საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავლით დაინტერესდნენ და ევროკავშირს ამ სახელმწიფოების დახმარებისკენ მოუწოდეს.

საუბარია ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ყველა წევრ ქვეყანაზე. ამ პროგრამაში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის გარდა, შედიან სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსი.

პოლონეთის მთავრობასთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრი ამ ქვეყნებში რუსეთის რევიზიონისტულ პოლიტიკაზე საუბრობს:

– „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნები აწყდებიან რუსეთის პროპაგანდისა და რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციის პრობლემას. რუსეთის გავლენასთან საბრძოლველად აუცილებელია, ევროკავშირმა გააძლიეროს თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ხელმწიფოებთან და გაზარდოს მათი ფინანსური მხარდაჭერა.

ავტორების დასკვნით, ევროკავშირის პრიორიტეტები საქართველოში, უკრაინასა და ამ პროგრამის სხვა ქვეყნებში უნდა იყოს თანამშრომლობა უსაფრთხოების პოლიტიკის, რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის, აგრეთვე ინვესტიციების აქტივიზაციის მიმართულებით.

ანალიტიკოსების კვლევების თანახმად, საქართველოში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში გაძლიერებულია რუსეთის პროპაგანდა, ევროპელები კი დეზინფორმირებული არიან ამ ქვეყნების თაობაზე. პროპაგანდის შედეგად, უკრაინის მოსახლეობის ნაწილს სჯერა, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია არა რუსეთის აგრესიის, არამედ, ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების შედეგია. საქართველოში ევროკავშირის მიერ გაწეულ დახმარებაზე ინფორმირებულია მხოლოდ 60%; „სპუტნიკსა“ და რუსეთის სხვა პროპაგანდისტულ ცენტრებს მინიმუმამდე დაჰყავთ არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო საქმიანობა.

პოლონელი ექსპერტები საჭიროდ თვლიან, რომ ევროკავშირმა გააძლიეროს და მრავალფეროვანი გახადოს თავისი საინფორმაციო პოლიტიკა ამ ქვეყნებში, რომლებშიც მძლავრობს რუსეთის დეზინფორმაცია.

ამ მხრივ გეგმები ევროკავშირს ისედაც ჰქონდა. პოლონელი ანალიტიკოსები ცდილობენ ევროკავშირის ყურადღების მიპყრობას იმაზე, რომ საქართველოში, უკრაინასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სხვა ქვეყნებში ძლიერდება რუსული გავლენა.

პოლონელი ანალიტიკოსები არაფერს ამბობენ იმაზე, რომ კრემლი თავისი რბილი ზემოქმედებისათვის კარგად იყენებს მეორე მსოფლიო ომის თემას. ყოველწლიურად, 9 მაისს რუსეთის ქალაქებში, ასევე რუსეთის ფარგლებს გარეთ, ეწყობა საერთაშორისო მოძრაობა „უკვდავი პოლკის“ მარშები. მის მიზნად ცხადდება ომის თაობის უკვდავყოფა. კოლონის წევრებს ხელში უჭირავთ ომის მებრძოლების, საკონცენტრაციო ბანაკების მძევლების, პარტიზანების, ზურგის ვეტერანების ფოტოები. საქართველო ამ მოძრაობას 2015 წლიდან შეუერთდა.

რუსეთის ჩარევისა და ზემოქმედების შედეგად მოლდოვაში მეცნიერები უკრაინას ფაშისტურ სახელმწიფოდ აცხადებენ და ამაში ევროპას ადანაშაულებენ. მათი მტკიცებით, ევროპა კვებავს ფაშიზმს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

– მოსკოვი უკრაინისა და საქართველოს ქაჩვას უკან გააგრძელებს მანამდე, სანამ მათი პროგრესი რეფორმებისკენ არ დამუხრუჭდება, – აცხადებს ნატოს ყოფილი გენმდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი.

საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ რეფორმები შეფერხებულია ან დამუხრუჭების პირას არის.

მამუკა არეშიძე: „გომელაურსა და გახარიას დაპირისპირება არ აქვთ“

იაგო ნაცვლიშვილი

პარასკევს, 3 მაისს, პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) უფროსი ვახტანგ გომელაური იმყოფებოდა, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოს უწყების ანგარიში წარუდგინა. თუმცა, ანგარიშის მხოლოდ ნაწილი იყო ღია ფართო საზოგადოებისთვის. მეორე ნაწილი გომელაურმა დეპუტატებს დახურულ ფორმატში გააცნო, იმის მიუხედავად, რომ ოპოზიცია სხდომის საჯაროობას ითხოვდა, თუმცა ეს არ მოხდა სახელმწიფო ინტერესის მოტივით.

რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე მან კომენტარი ჟურნალისტებთან სხდომის შემდეგ გააკეთა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე საუბრობს:

– სუს-ის ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენისას რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო მისი ანგარიშის წარმოდგენა?

– ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის, რა იყო დახურულ ფორმატში, რაზე იყო საუბარი და რა მოისმინეს დეპუტატებმა. აქედან გამომდინარე, სრული სურათი არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, რთულია შეაფასო როგორც დამაკმაყოფილებელი, ანგარიში ან შენიშვნები გააკეთო ამაზე, იმიტომ, რომ რადგანაც სრული სურათი არ არის, მე არ ვიცი, რაზე იყო საუბარი მეორე ნახევარში.

რაც შეეხება პირველ ნახევარს, ის, რაზეც საუბარი იყო, ჰიბრიდული ომი იქნებოდა თუ სხვა საკითხი, ეს ცნობილი იყო და ვიცით, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. ეს სურათი განსაკუთრებული არ ყოფილა ჩვენთვის, ანუ უცნობი არ იყო საზოგადოებისთვის.

– ანუ თქვენთვის სიახლე არაფერი არ ყოფილა ამ ანგარიშიდან?

– ერთი შეხედვით, არაფერი ყოფილა, მაგრამ მე ხომ არ ვიცი, რა იყო დახურულ ფორმატში ნათქვამი. შეიძლება, ისეთი რამე ითქვა, რაც საინტერესო იქნებოდა, მათ შორის ჩემთვისაც.

– ამ საკითხსაც მოჰყვა დისკუსია პარლამენტში, უნდა დახურულიყო თუ არა სხდომა. ერთი მხრივ, დგას საჯარო ინტერესი, მეორე მხრივ – სახელმწიფო საიდუმლოება და ინტერესი. სად გადის ზღვარი ამ ორ საკითხს შორის?

– არსად არ ხდება სრული ინფორმაციის მიწოდება არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ ნდობით აღჭურვილი პირებისთვისაც კი – დეპუტატებისთვის. არსებობს რაღაც საზღვარი, არსებობს ინფორმაციის ნაწილი, რომელიც დიდი დოზით უნდა მიეწოდოს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, მაგრამ არსებობს ინფორმაციის ნაწილი, რომელიც ვიწრო წრისთვის არის განსაზღვრული. ეს წრე არის იმ ადამიანთა წრე, რომლებსაც დავალებული აქვთ ქვეყნის უსაფრთხოება. ეს სალაპარაკოც არ არის. ეს თემა განსჯადი არ უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, დახურული უნდა იყოს.



– მაშინ რატომ განიხილავენ დეპუტატები, არ ესმით საკითხის მნიშვნელობა?

– გადასარევად ესმით. თვითონაც იმავეს აკეთებდნენ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. უბრალოდ, ეს არის პოლიტიკური კონიუნქტურის საკითხი. რადგან ოპოზიციაში არიან, ყველაფრის ლაპარაკი შეუძლიათ. მათი ლაპარაკის ეს ნაწილი მიმართულია საზოგადოების იმ ფენისკკენ, რომელიც საქმის კურსში არ არის.

– ანუ ამით რაღაც დივიდენდების მოპოვებას ცდილობენ?

– რასაკვირველია. აი, გვიმალავენ – ამაზეა გამახვილებული ყურადღება. თვითონ როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, იმავეს აკეთებდნენ. მე მათ ამ ნაწილში არასდროს ვაკრიტიკებდი.

– გომელაურმა ტერორისტულ ორგანიზაციებზე თქვა, რომ საქართველოში მათი შესაძლო მხარდაჭერის მხრივ გავლენა შემცირებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ სუსი კარგად მუშაობს თუ მსოფლიო კონიუნქტურიდან გამომდინარეა ასე?

– ორივე შეგვიძლია ვივარაუდოთ, იმიტომ რომ, პრინციპში, ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობამ გარკვეული პროფესიონალიზმი და გამოცდილება შეიძინა. საერთაშორისო ტერორიზმი ყველას სენია, ამიტომ ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კომპლექსური მუშაობა და ბრძოლა ამის წინააღმდეგ. ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციებს და ხშირ შემთხვევაში ერთად ატარებენ ოპერაციებს. ზოგიერთ შემთხვევებში ისეთი ქვეყნებიც თანამშრომლობენ, რომლებიც სხვა შემთხვევებში არ იმუშავებდნენ ერთად.

მაგალითად, სოჭის ოლიმპიადის დღეებში ქართული და რუსული სპეცსამსახურების მუშაობა გავიხსენოთ. მაშინ აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული იყო. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. სხვა გამოსავალი არც ერთს არ ჰქონდა და თანამშრომლობდნენ ამ ნაწილში.

ახლაც ბერი სალოსის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტს თუ გავიხსენებთ, იქ, სულ მცირე, რამდენადაც მე ვიცი, აშშ-ის, ისრაელისა და თურქეთის წარმომადგენლები იყვნენ ჩართული სხვადასხვა დოზით.

ასე რომ, პასუხი ასეთია – თუ გომელაური გულისხმობდა ისლამურ ხალიფატსა და მასთან აფილირებულ ორგანიზაციებს, მაშინ, რასაკვირველია, მასთან ბრძოლის ხარისხი ძალიან მაღალია მთელ მსოფლიოში. ამას დაეტყო კიდეც შედეგები. სირიასა და ერაყში დაბანაკებული ეს ორგანიზაციები ისე თავისუფლად ვეღარ გრძნობენ თავს, როგორც თავის დროზე.

– ისინი განიცდიან იდეოლოგიურ და ფინანსურ სიღარიბეს წინა წლებთან შედარებით. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიო კარგად მუშაობს, კოორდინირებულად და მათ შეასუსტეს ტერორიზმი ერთობლივი ძალებით?

– რასაკვირველია, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქ იგულისხმება ის საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიოში განსაკუთრებული საფრთხის მატარებელი არიან და რომლებიც სულ ჩანან თავიანთი აქტებით და დღესაც ატარებენ ტერორისტულ აქტებს სხვადასხვა ქალაქში.

ამათ გარდა, არის ორგანიზაციები, რომლებიც არ გამოირჩევიან ამით, არ ესხმიან მოსახლეობას თავს, მაგრამ ისინი დაკავებული არიან იდეოლოგიური ტერორიზმით. ასეთ ორგანიზაციებთან ბრძოლა ძალიან რთულია და ასეთი ორგანიზაციები საქართველოშიც მუშაობენ.

– ვარაუდები გამოითქვა, რომ შესაძლოა რაღაცა დაპირისპირება არსებობს გახარიასა და გომელაურს შორის. თქვენ ხომ არ გაგიჩნდათ ასეთი განცდა თუ ვარაუდი?

– განცდა კი არა, ზუსტად ვიცი, რომ დაპირისპირება არ არის. მთავარი, იცით, რა არის? რატომ მოხდა ეს ამბავი, რაც პანკისში მოხდა და რატომ ხდება ასეთი რაღაცები.

– რატომ?

– ხშირ შემთხვევაში იმიტომ, რომ არ არსებობდა ისეთი კოლექტიური ორგანო, რომელიც პროცესების მართვას შეძლებდა ერთობლივად. ამდენი წელია, საქართველოში ასეთი ორგანო არ არსებობდა. უშიშროების საბჭო, რომელიც პრეზიდენტ მარგველაშვილთან არსებობდა, თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ხელმძღვანელი, ანუ საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლება ერთმანეთთან დაპირისპირებული იყვნენ. აქედან გამომდინარე, უშიშროების საბჭო ტყუილად იყო.

„კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც პრემიერთან არსებობდა, შეზღუდული იყო. პრინციპში, ამ კონფრონტაციულ რეჟიმში გაჩერებული იყო მთავარი ფორმატი, რომელმაც ქვეყნის უსაფრთხოება უნდა აკონტროლოს და უნდა განკარგოს უსაფრთხოების სივრცე. ეს არის უშიშროების საბჭო“

კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც პრემიერთან არსებობდა, შეზღუდული იყო. პრინციპში, ამ კონფრონტაციულ რეჟიმში გაჩერებული იყო მთავარი ფორმატი, რომელმაც ქვეყნის უსაფრთხოება უნდა აკონტროლოს და უნდა განკარგოს უსაფრთხოების სივრცე. ეს არის უშიშროების საბჭო.

როგორც იქნა, შეიქმნა ახლა უსაფრთხოების საბჭო, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავს. მისი ხელმძღვანელია პრემიერ-მინისტრი და მდივანი არის შს მინისტრი. მასში შედის სუს-ის ხელმძღვანელი. თუ მას და შს მინისტრს შორის იქნება პიროვნული მიუღებლობა, საქმე არ გამოვა. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ პიროვნული მიუღებლობა არ არის. შეიძლება, საქმესთან დაკავშირებით გარკვეული კამათი იყოს, რაც პრობლემა არ არის.

ლევან ალაფიშვილი: „ლევან მურუსიძე „ოცნების“ სიის პირველი ნომერი შეიძლება გახდეს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილმა პროცესები თვითდინებაზე მიუშვა. მას მართლაც მობეზრდა პოლიტიკა და ცდილობს, გავიდეს პროცესიდან?

– არა მგონია. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ის პოლიტიკაში არ დაბრუნდებოდა. თან დაბრუნდა ყველაზე მძიმე დროს. მძიმე დროს ქვეყნისთვის და მძიმე დროს მისი პარტიისთვის. მას მობრუნება მოუწია, რადგან მისი პასუხისმგებლობა ხალხის თვალში იზრდებოდა. გარდა ამისა, არა მგონია, ერთი საკითხის გამო შემობრუნებულიყო. კი თქვა იუნისეფის კვლევაზე, სიღარიბეზე და ა.შ. მაგრამ მხოლოდ ამიტომ არ დაბრუნებულა.

– თქვენ კიდევ რა მიზეზს ხედავთ?

– სწორედ იმას, რომ სადავეები არ გაჰქცეოდა, რომ ყველაფერი თავიდან ბოლომდე ეკონტროლებინა. ახსენა კიდეც, ცოტა ხანში კვირიკაშვილი ტელეფონზეც კი არ მიპასუხებდაო.

– ერთ-ერთ მიზეზად გუნდის დაშლაც დაასახელა, რაც მისი დაბრუნების შემდეგ უფრო გაძლიერდა. რატომ, ეს იყო მისი ნება თუ ვერ გააკონტროლა?

– გუნდის დაშლის პროცესი გასაგებია, რატომაც გაგრძელდა. „ქართული ოცნება“ ხომ არ არის იდეებზე დაყრდნობილი და საერთო იდეისა და მიზნის ირგვლივ შემდგარი ერთობა?!

„გუნდის დაშლის პროცესი, გასაგებია, რატომაც გაგრძელდა. „ქართული ოცნება“ ხომ არ არის იდეებზე დაყრდნობილი და საერთო იდეისა და მიზნის ირგვლივ შემდგარი ერთობა?! „ქართული ოცნება“ ეკლექტური პარტიაა. იქ ადამიანებს ძალიან ცოტა რამ აერთიანებთ. ეს ერთობა ყველაზე ნაკლებად არის პოლიტიკური პარტია თავისი მთავარი მნიშვნელობითა და დატვირთვით. ალბათ ყველასთვის გასაგებია, ამ ადამიანებს დღეს რა აერთიანებთ“

„ქართული ოცნება“ ეკლექტური პარტიაა, იქ ადამიანებს ძალიან ცოტა რამ აერთიანებთ. ეს ერთობა ყველაზე ნაკლებად არის პოლიტიკური პარტია მისი მთავარი მნიშვნელობითა და დატვირთვით. ალბათ ყველასთვის გასაგებია, ამ ადამიანებს დღეს რა აერთიანებთ.

– ჩვენთან სახელისუფლებო პარტიები როდესაც ძალაუფლებას კარგავენ, ერთი გამონაკლისის გარდა, ქრებიან. „ქართული ოცნება“ მმართველი პარტია რომ არ იქნება, არსებობას გააგრძელებს, როგორც ნაციონალური მოძრაობა თუ გაქრება, როგორც მოქალაქეთა კავშირი?

– ძალიან საინტერესო საკითხია. აქამდე ვერც ერთმა სახელისუფლებო პარტიამ ვერ შეინარჩუნა არსებობა, გარდა ნაციონალური მოძრაობისა, რომელმაც კრიზისი ოთხჯერ გადალახა. შეიძლება ვთქვათ, რომ არა ორად, არამედ ოთხად გაიყო.

თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორი იქნება და საერთოდ იქნება თუ არა „ქართული ოცნება“, დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იქნება ბიძინა ივანიშვილი, როგორი იქნება მისი პოზიცია.

– 2020 წელს რა არის ივანიშვილის მიზანი – არჩევნების საკონსტიტუციო უმრავლესობით მოგება თუ კოალიციური მთავრობის შექმნა?

– ორგანიზაცია 20-30 შექმნა ივანიშვილმა, რომელსაც ერთი დღეც კი არ უფუნქციონერია, მაგრამ ეს იყო გზავნილი, რომ მას 2030 წლამდე აქვს თავისი პოლიტიკური გეგმები გაწერილი. ეს იყო მონახაზი 2030 წლამდე და სხვა არაფერი. ამიტომ მე არ მგონია, რომ ის ასე მარტივად წავიდეს პოლიტიკიდან, მეტიც, მარტივად დათმოს პოზიციები. მისი ამოცანა კოალიციური მთავრობა კი არა, საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა იქნება, მაგრამ, როგორც წესი, საქართველოში ორ ვადაზე მეტ ხანს ამომრჩეველი ვერც ერთ ხელისუფლებას ვერ გუობს.

– ივანიშვილმა როდესაც ეს პოლიტიკური მონახაზი გააკეთა, მაშინ სხვა რეალობა იყო. დღეს სხვა რეალობაა. რამდენად აღიქვამს ის ამ რეალობას?

– ვერ გეტყვით, ძალიან მეეჭვება, რომ აცნობიერებდეს ამ რეალობას და ადეკვატური იყოს ამ რეალობის. ალბათ ინფორმაციები სხვა მისდის, სხვა რეალობას უხატავენ და არწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგად არის და რომ ვითარება არც ისეთი საგანგაშოა.

მას არ უნდა, ამ რეალობას თვალი გაუსწოროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია ლევან მურუსიძისგან გმირის გამოძერწვა, მთელი ეს კამპანია, ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ პოლიტიკოსი და მოსამართლე ტელედებატებშიც კი ვნახეთ.

ამ ყველაფრის შემხედვარეს, არც ის გამიკვირდება, რომ ლევან მურუსიძე იყოს „ქართული ოცნების“ 2020 წლის სიის პირველი ნომერი.

– ხუმრობთ?

– მე კი ვხუმრობ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი რამდენად იხუმრებს, ამას ვერ გეტყვით.

მამუკა ბახტაძე: „საქართველო ევროპასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა“

– დარწმუნებული ვარ, ერთსულოვნებითა და ერთად დგომით, გაუტეხავი ქართული სულითა და ჩვენი ევროპელი მეგობრების მხარდაჭერით, აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ერთიანი, ძლიერი და მშვიდობიანი საქართველო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდება, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ევროპის დღეების ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

ბახტაძის სიტყვებით, ევროპა ქართველი ერის არჩევანია და საქართველო ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი უნდა გახდეს.

– ჩვენ ძალიან რთული გზა გავიარეთ, მაგრამ დღეს შეგვიძლია, თამამად განვაცხადოთ, რომ საქართველო ევროპასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა. ეს არის ძალიან დიდი გამარჯვება, რომელიც ყველას ეკუთვნის. ეს არის ჩვენი საზოგადოების დამსახურება და ჩვენი დასავლელი მეგობრების დახმარების შედეგი, რისთვისაც მინდა, მათ მადლობა გადავუხადო, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მამუკა ბახტაძემ ხაზი გაუსვა ევროკავშირის ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ და თქვა, რომ დღევანდელი დღე არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ საქართველო მყარად დგას ერთადერთ სწორ გზაზე, რომელიც აუცილებლად მიიყვანს ქვეყანას წარმატებასთან.

– აუცილებელია, ჩვენი მოქალაქეები ყოველდღიურად გრძნობდნენ იმ სიკეთესა და წარმატებას, რაც საქართველოს ევროინტეგრაციის გზას მოაქვს. ჩვენ ახლახან კიდევ ერთი გამარჯვება ვიზეიმეთ, როდესაც ევროკავშირმა ოფიციალურად მოგვცა საშუალება გავწევრიანდეთ ევროპის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციაში და ქართული დიპლომები აღიარებული იყოს ევროპაში. ჩვენ ასეთი გამარჯვებები გვჭირდება ყოველდღე, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ევროპის დღეების ფარგლებში რიყის პარკში გამართულ ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას ასევე მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა კარლ ჰარცელმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ.

ევროპის დღეები, რომელიც საქართველოში წელს მეშვიდედ აღინიშნება, მაისის ბოლომდე გაგრძელდება. მის ფარგლებში დაგეგმილია 80-მდე ღონისძიება როგორც თბილისში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რადიო თავისუფლება

დავითგარეჯში სამოქალაქო აქტივისტებმა კიდევ ერთი ცოცხალი ჯაჭვი გაავლეს

გუშინ, 5 მაისს, დავითგარეჯში სამოქალაქო აქტივისტებმა ცოცხალი ჯაჭვი უშუალოდ იმ ბილიკზე გაავლეს, რომელიც სამონასტრო კომპლექსის იმ ნაწილს უკავშირდება, სადაც ორი კვირის წინ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები მომლოცველებსა და ტურისტებს არ უშვებდნენ.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ამით დააფიქსირეს პოზიცია, რომ აღნიშნული ტერიტორია არის საქართველოს ისტორიული ნაწილი. მათ საქართველოს ჰიმნი შეასრულეს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, მათი შეკრების მიზეზი სწორედ ის არის, რომ საზოგადოებას, როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში და მის ფარგლებს გარეთ, აჩვენონ, რომ დავითგარეჯი საქართველოა და რომ იქ გადაადგილების შეზღუდვა ცდება კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

სამოქალაქო აქტივისტებს ინტენსიურ რეჟიმში თვალს ადევნებდნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები.

ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით ასევე მობილიზებული არიან ქართველი მესაზღვრეები.

ინტერპრესნიუსი

„ამერიკული სამხედრო ბაზები სალომე ზურაბიშვილს იმპიჩმენტამდე მიიყვანს“

აზერბაიჯანული გამოცემის, „Новое время“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილული და კომენტირებულია საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებები და პოზიცია, რომელიც მან აშშ-ის რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა, კერძოდ, საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზების დაარსების მიზანშეუწონლობის თაობაზე.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

– არა მგონია, ეს რეკომენდებული იყოს. ვფიქრობ, ეს ქვეყანა ისეთ ადგილზე მდებარეობს, სადაც უსაფრთხოება უნდა გავაძლიეროთ. არაა საჭირო, გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება პროვოკაციად იქნეს აღქმული და ამასთან, არა მგონია, შეერთებული შტატები აქ სამხედრო ბაზის ქონისთვის მზად იყოს, რაც ყურადღებას მიიქცევს არა მხოლოდ რუსეთისგან, არამედ ტერორისტული მოძრაობებისგანაც, რომლებიც ჩვენს რეგიონში ძალიან აქტიურნი არიან. ჩვენ შორის არსებული ურთიერთგაგების საფუძველზე უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ თანამშრომლობა და არ გადავდგათ ნაბიჯები, რომლებმაც შესაძლოა სხვების რეაქციის პროვოცირება გამოიწვიოს, – პასუხობს პრეზიდენტი „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტის კითხვას – რას ფიქრობთ საქართველოში შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის დაარსებაზეო.

სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტად 2018 წლის ნოემბერში აირჩიეს, თავის განცხადებებში მუდმივად ხაზს უსვამს, რომ მის მიზანს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა წარმოადგენს. ქვეყნის მეთაური კარგად აცნობიერებს, თუ როგორ შეიძლება შეუბრუნდეს საქართველოს თავის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის დაარსება და ამიტომაც თვლის, რომ „წითელი ხაზები“ ამ მიმართულებით არ უნდა იქნეს გადაკვეთილი თბილისის მიერ. „ბუნებრივია, ოპოზიციამ უმალვე ისარგებლა სალომე ზურაბიშვილის მიერ გაჟღერებული თვალსაზრისით და მისი მძაფრი კრიტიკა დაიწყო“, – წერს ავტორი და იმოწმებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების ანტისაპრეზიდენტო განცხადებებს – ასეთი პრეზიდენტი საქართველოსთვის მიუღებელია, სალომე ზურაბიშვილს იმპიჩმენტი მოუწევსო.

სტატიაში განხილულია საქართველო-აშშ-ისა და საქართველო-ნატოს ურთიერთობის მდგომარეობაც: „საერთოდ, აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეები ნატოს არაწევრ საქართველოში უფრო მეტი შესაძლებლობებით სარგებლობენ, ვიდრე ნატოს წევრ ქვეყნებში. კერძოდ – მათ შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ და უპასპორტოდ ყოფნა, ამერიკელი სამხედროები სრული დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, კონტრაქტები აშშ-ის კანონმდებლობის საფუძველზე ფორმდება... რაც ყველაზე მთავარია – საქართველოში სამხედრო ტექნიკის გადასროლა ამერიკელების პირველივე მოთხოვნის შესაბამისად და უსიტყვოდ სრულდება. ქვეყნის ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ამერიკელთა მოქმედებას ვერ აკონტროლებს. ასეთ სიტუაციაში, ჰიპოთეტურად, აშშ-ს შეუძლია, საქართველოში თავისი სამხედრო ბაზა განალაგოს. პენტაგონი, პრინციპში, საკმაოდ აქტიურობს: უკვე მრავალი სამხედრო დანიშნულების ობიექტია აშენებული, ტარდება ერთობლივი სამხედრო წვრთნები, თუმცა... თავს იკავებს ამ ქვეყანაში მსხვილი სამხედრო შენაერთის მუდმივი განლაგებისაგან.

ბევრს მიაჩნია, რომ საქართველოს სამხედრო აეროდრომები ვაზიანში და მარნეულში აშშ-სათვის მოსახერხებელი იქნება, თუ ვაშინგტონი რეგიონში თავისი ყოფნის განმტკიცებას მოისურვებს, მაგრამ საქმე მთლად სურვილებზე არ არის დამოკიდებული, არსებობს რეგიონის სპეციფიკა, რაც გასათვალისწინებელია: 2008 წელს ნატოს შეეძლო მარნეულის აეროდრომით სარგებლობა, მაგრამ ვაშინგტონმა არ გამოიყენა... გასაგები მიზეზების გამო.

მოკლედ, გარკვეული თვალსაზრისით სალომე ზურაბიშვილი მართალია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი უფლებამოსილება სიმბოლურია და ქვეყნის პროდასავლურ ძალებს პრეზიდენტის დამხობა ყოველ მომენტში შეუძლიათ. ასე რომ, დიდი ალბათობით, თუ ვაშინგტონი დღეს თუ ხვალ მართლაც სერიოზულად მოისურვებს საქართველოში ბაზის შექმნას, სალომე ზურაბიშვილს ნამდვილად არ შეეკითხება, – წერს ავტორი.

თელავის უნივერსიტეტში ავთო კიკნაძის დაჭრისთვის გ.ნ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული გ.ნ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 10 აპრილს გ.ნ.-მ ქალაქ თელავში, უნივერსიტეტის ეზოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე დაზიანება მიაყენა 1995 წელს დაბადებულ ავთო კიკნაძეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ყვარლის რაიონის სოფელ ენისლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი – მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და 14 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ცეცხლსასროლი იარაღის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფაქტებზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე, 236-ე და 237-ე მუხლებით.

აფხაზეთში იმ დანაზოგის გაცემა დაიწყება, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტომდე შემნახველ სალაროებში ჰქონდათ

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული პროტოკოლის თანახმად, აფხაზეთის შემნახველი ბანკი 1992 წლის 14 აგვისტომდე დარეგისტრირებულ მეანაბრეებს საკომპენსაციო თანხებს გადაუხდის.

– 2003 წლიდან 2004 წლის განმავლობაში ასეთი 48 მეანაბრე დარეგისტრირდა. მათ 361.691 მანეთს დაუბრუნებენ. 2015 წლის 6 აპრილიდან 29 მაისის რეგისტრაციით თანხა 139 პირს ეკუთვნის, რაც ჯამში 2.255.010 მანეთს შეადგენს. ორივე კატეგორიის მოქალაქეებზე თანხას 6 მაისიდან გასცემენ, – ამის შესახებ ინფორმაციას აპსნიპრესი ავრცელებს.

თაიმერი

რიკოთზე ანტალია-თბილისის სამგზავრო ავტობუსი დაიწვა

4 მაისს რიკოთის უღელტეხილზე სამგზავრო ავტობუსს მოძრაობის დროს ცეცხლი გაუჩნდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ავტობუსში თურქი მძღოლის ჩათვლით 5 კაცი იმყოფებოდა.

თურქული სანომრე ნიშნებით ავტობუსი ანტალიიდან თბილისის მიმართულებით მოდიოდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ჩაქვში ერთმანეთს 2 მანქანა დაეჯახა

დაშავდა 50 წლის ქალი

ბათუმში, ჩაქვის გვირაბთან, ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ავარიის შედეგად 50 წლის ქალი დაშავდა, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში აცხადებენ, რომ ქალს პირველადი დათვალიერების შედეგად თავის არეში მძიმე ტრავმა და სხეულის სხვადასხვა დაზიანება აღენიშნება. შემთხვევის ადგილზე მცირე სატრანსპორტო შეფერხებაა.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის აზრით, „ქართული ოცნება“ ქვეყანას არაეფექტურად მართავს

– თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ პოტენციალს და ჩვენი ძალისხმევის მობილიზაციას მოვახდენთ, შეგვიძლია, 7%-დან 9%-მდე გავაორმაგოთ ეს ეკონომიკური ზრდა, – „Forbes-ის კვირასთან“ ინტერვიუში ამბობს საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია.

ქობულიას განცხადებით, მაღალი ზრდის მიღწევა მხოლოდ მართვის სისტემის გაუმჯობესებით არის შესაძლებელი, რაც რიგი სისტემური გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს.

დღეს არსებულ 4.7%-იან ზრდას კი ეკონომიკის ყოფილი მინისტრი „ინერციულს“ უწოდებს.

– ეკონომიკური ზრდა, რომელიც ჩვენ გვაქვს 4-5%, მაინც უფრო ინერციულია, რაც განპირობებულია იმით, რომ საწყისი დონე არის უფრო დაბალი – ჩვენ ვიცით რომ $4000 ფარგლებშია მშპ ერთ სულ მოსახლეზე. რა თქმა უდნა, რაც უფრო დაბალია დონე, დიდ ზრდას შეგვიძლია მივაღწიოთ და მეორე ეს არის ის, რომ ჩვენთან არის ძალიან ლიბერალური კანონმდებლობა. ეს ორი ფაქტორი ხელშემწყობია ზრდისთვის, ინერციული ზრდისთვის და, ამავე დროს, საქართველოს ეკონომიკაში არის უფრო დიდი პოტენციალი და, როგორც არაერთხელ მისაუბრია, იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ პოტენციალს და ჩვენი ძალისხმევის მობილიზაციას მოვახდენთ, შეგვიძლია, 7%-დან 9%-მდე გავაორმაგოთ ეს ეკონომიკური ზრდა. ამისთვის, რა თქმა უნდა, ძირითადი გამოწვევა არის სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტურობის მომატება, – ამბობს ქობულია.

BMG

„ბიუჯეტს დაბალშემოსავლიანი ადამიანების ხარჯზე ვავსებთ და მერე გვიკვირს, რატომ ცხოვრობს ეს ხალხი ცუდად“

– თუ სოლიდარობის პრინციპს არ ეფუძნება ქვეყნის მოწყობა, ერთი თაობა მეორე თაობაზე ინსტიტუციურად აღარ ზრუნავს. ნებისმიერ ქვეყანაში შვილების თაობა მშობლების თაობაზე ზრუნავს. მშობლები დაინტერესებული არიან იმით, რომ უკეთესი გარემო ჰქონდეთ შვილებს, რათა წლების შემდეგ მათ სიბერეზე შვილებმა იზრუნონ. საპენსიო რეფორმა მხოლოდ კაპიტალის ბაზრის განვითარების მცდელობა იყო, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა ბექა ნაცვლიშვილმა რადიო კომერსანტზე გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“.

– პირდაპირმა სუბსიდირებამ სიღარიბე ნაწილობრივ მაინც გამოასწორა. ევროკავშირის ქვეყნების 30% ბიუჯეტიდან ფულს სწორედ პირდაპირ სუბსიდირებაზე ხარჯავს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთადერთია, რომელიც, ვფიქრობ, რომ ზოგადად რაღაცას მაინც აკეთებს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. ჩვენი სოფლის მეურნეობა გადამამუშავებელი მრეწველობის გარეშე ფეხზე ვერ დადგება, მაგრამ ჩვენ ისევ და ისევ ველოდებით ინვესტორებს, რომლებსაც ოდესმე გაუჩნდებათ სურვილი, ერთ-ერთ ყველაზე რისკიან სექტორში გადამამუშავებელი საწარმო გახსნან. არ ჯობია, ადგე და შენ თვითონ, სახელმწიფომ გახსნა ასეთი საწარმო და მერე გადასცე იგი სააქციო საზოგადოებას? სახელმწიფო გამოვა მოგვიანებით წილიდან და უკვე დაგხვდება ფეხზე დაყენებული საწარმო. ადამიანები მეტად მონდომებულები იქნებიან, თუმცა ჩვენ ისევ ველოდებით ბაზარს და ამ ლოგიკით, ინვესტორებს, რომლებსაც საწარმოს გახსნა მოუნდებათ.

ეს არის თეორიული კონცეპტი, რომელიც თავზე მოგვახვიეს. ამ ტიპის საბაზრო ეკონომიკა არსად მუშაობს. ამ ტიპის ველური კაპიტალიზმი, ჩვენ რომ გვაქვს, არსად არ მუშაობს. სიღარიბის დაძლევისთვის ბრძოლა მარტო იმით კი არ უნდა დაიწყო, რომ ადამიანების დასაქმებისთვის მათ სრულფასოვანი ცოდნა მისცე. განათლების სოციოლოგია ეფუძნება იმას, რომ მოსწავლეებს სკოლაში ერთნაირი სასტარტო პირობები უნდა შევუქმნათ. თუ მათ საწყისი მდგომარეობა თანაბარი არ ექნებათ, ისინი ერთნაირ ცოდნას ვერ მიიღებენ. ადამიანი, რომელიც მოდის დაღლილი ფიზიკური სამუშაოს შემდეგ, ვერ დაუჯდება ბავშვს და ვერ ამეცადინებს. მეორე მხრივ, არიან მშობლები, რომელთაც აქვთ ამის ფუფუნება და დრო, ამეცადინონ საკუთარი შვილები. ამ ბავშვების საწყისი პირობები თანაბარი არ არის, ამიტომ სახელმწიფომ პირობები უნდა შეუქმნას მათ ისეთი, რომ შემდგომ საკუთარი ნიჭი გამოყენების საშუალება მივცეთ.

უნდა არსებობდეს პროგრესული გადასახადები, სადაც მაღალშემოსავლიანი ადამიანი გადაიხდის პროცენტულად მეტს და დაბალშემოსავლიანი – ნაკლებს. 500 ლარისა და 3.000 ლარის ხელფასის მქონე ადამიანებმა განსხვავებული გადასახადები უნდა გადაიხადონ, რათა დაბალშემოსავლიან ადამიანს მეტი დარჩეს ჯიბეში, რომ ელემენტარული საჭიროებები დაიკმაყოფილოს.

სოლიდარულ პრინციპზე თუ არ დავაფუძნეთ ეს ქვეყანა და პროცენტული თვალსაზრისით მაღალშემოსავლიანმა მეტი თუ არ გადაიხადა, ვიდრე დაბალშემოსავლიანმა, მაშინ ვერ გავხდებით სახელმწიფო. მსოფლიოში ნებისმიერი სახელმწიფო, მგონი, ჩვენ გარდა, დაფუძნებულია სოლიდარულ პრინციპზე.

საპენსიო რეფორმა მხოლოდ კაპიტალის ბაზრის განვითარების მცდელობა იყო. თუ სოლიდარობის პრინციპს არ ეფუძნება ქვეყნის მოწყობა, ერთი თაობა, მეორე თაობაზე ინსტიტუციურად აღარ ზრუნავს. ნებისმიერ ქვეყანაში შვილების თაობა მშობლების თაობაზე ზრუნავს. მშობლები დაინტერესებული არიან იმით, რომ უკეთესი გარემო ჰქონდეთ შვილებს, რათა წლების შემდეგ მათ სიბერეზე შვილებმა იზრუნონ.

ბიუჯეტს დაბალშემოსავლიანი ადამიანების ხარჯზე ვავსებთ და მერე გვიკვირს, რატომ ცხოვრობს ეს ხალხი ცუდად, – ამბობს ბექა ნაცვლიშვილი.

კომერსანტი

კობა გვენეტაძე: „თუ შიდა განვადება თავისი არსით „სესხის მატარებელი“ იქნება, ტექნიკის მაღაზიებს სესხის პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ“

– ჩვენ დავაკვირდებით, თუ როგორ ხდება ამ მიმდინარეობის განვითარება და ზომებს მივიღებთ იმის მიხედვით, თუ რა ზომა და გაქანება ექნება ამ მიმართულებას, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ტექნიკის მაღაზიებისა და დეველოპერების მხრიდან შიდა განვადების დანერგვის კომენტირებისას განაცხადა.

როგორც ცნობილია, „ტექნო ბუმი“ მიმდინარე თვიდან მომხმარებლისთვის შიდა განვადების შეთავაზებას გეგმავს, რომელშიც კომპანიის დამფუძნებლის, ანზორ ქოქოლაძის თქმით, ბანკი ჩართული არ იქნება . ამგვარი სერვისის დანერგვის მიზეზი, კი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემის გამო შემცირებული გაყიდვებია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყნის მთავარი ბანკირი განმარტავს, რომ თუ შიდა განვადება თავისი არსით სესხი ან მასთან გათანაბრებული პროდუქტი იქნება, ამ მიმართულებით არსებული პირობების დაკმაყოფილება მოუწევს.

– თუ ის პროდუქტი, რომელიც იქნება შეთავაზებული თავისი ხასიათით, იქნება სესხის მატარებელი, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ დაკმაყოფილდეს ის პირობები, რაც დღესდღეობით არსებობს სესხებთან დაკავშირებით . ჩვენ დავაკვირდებით, თუ როგორ ხდება ამ მიმდინარეობის განვითარება და ზომებს მივიღებთ იმის მიხედვით, თუ რა ზომა და გაქანება ექნება ამ მიმართულებას, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

IPN

ბახტაძე: „საქართველოში 600 ათასი ადამიანი დაცულია კრედიტორების წნეხისაგან“

– დღეს საქართველოში 600 ათასი ადამიანი დაცულია კრედიტორების წნეხისაგან. აღდგენილია სამართლიანი თამაშის წესები. მოხდა საპროცენტო განაკვეთების დაწევა იპოთეკურ სესხებზე. შემცირდა 3-4%-ით. სესხებზე არის განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის ჭერი“, – ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტელეკომპანია „იმედში“ გადაცემა „ქრონიკის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ხელისუფლებამ მიიღო უმძიმესი მემკვიდრეობა:

– ჩვენ მივიღეთ უმძიმესი მემკვიდრეობა, როცა თითოეული მოქალაქე იყო დაუცველი კრედიტორების მიმართ. იყო 700-800%-იანი სესხები. შეიძლება, ადამიანს სესხის 90% ჰქონოდა გასტუმრებული და დაერიცხათ 50-ათასიანი ჯარიმა. მას დაეკარგა სახლი, მანქანა და პერსპექტივა. მამუკა ბახტაძის შეფასებით, ხელისუფლებამ გადადგა სწორი ნაბიჯები, როცა საფინანსო ბაზარზე სესხებზე რეგულაციები დააწესა:

– ჩვენ დავამკვიდრეთ სამართლიანი თამაშის წესები. ეს იყო სწორი ნაბიჯი და კორექტირება ამ პოლიტიკის. ამან გამოიღო კონკრეტული შედეგი და რეიტინგებში წინ წავიწიეთ. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია, რომ მივაღწიოთ ღარში სესხების კიდევ უფრო გაიაფებას. ეკონომიკა არის ცოცხალი სხეული და მასში წარმოდგენილია რამოდენიმე სექტორი. თუ ციფრები მოგვცემს სურათს, რომ რეგულაციები სექტორის განვითარებას აფერხებს. თუ პრობლემები შეიქმნა, პროფესიონალები მუშაობენ და საკითხი გადაწყდება, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის განმარტებით, რეგულაციების შემოღება ეკონომიკისთვის იყო სწორი ნაბიჯი: „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემა არის გარანტი, რომ მოქალაქეები დაცულები იქნებიან. ეს გენერალური ხაზი არ გადაიხედება“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

Imedinews

მიწის გაყიდვის შედეგად ბიუჯეტმა 17.1 მლნ ლარი მიიღო

მიმდინარე წლის იანვარ-მარტში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა, ჯამში, 3,006,209,199 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობამ 21,655,957 ლარი შეადგინა. აქედან შემოსულობა მიწის გაყიდვიდან 17,089,488 ლარი იყო. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიწის გაყიდვიდან 1,647,969 ლარის, ხოლო ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში 15,441,519 ლარის მობილიზება მოხდა.

ცნობისთვის, ნაერთი ბიუჯეტი საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

BPN

კომერციული ბანკების ანგარიშზე 161,7 მლნ ლარის დასაკუთრებული ქონებაა

2019 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ჯამში, 161.707.653 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრეს.

ამის შესახებ კომერციული ბანკების ანგარიშგებაშია აღნიშნული.

ამავე მონაცემებით, დასაკუთრებული ქონების მოცულობის მიხედვით, ტოპ ხუთ ბანკში შედის:

„საქართველოს ბანკი“ – 67.493. 281 ლარი

„თიბისი ბანკი“ – 51.064.472 ლარი

„ქართუ ბანკი“ – 24.803.612 ლარი

„ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – 8.483.208 ლარი

„ბაზის ბანკი“ – 7.174.086 ლარი

რაც შეეხება სხვა კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ფულად მოცულობებს, ასე გამოიყურება:

„სილქ როუდ ბანკმა“ – 716.491 ლარის ღირებულების ქონება მიისაკუთრა, „კრედო ბანკმა“ – 348.155 ლარის, „ფინკა ბანკი საქართველომ“ – 138.905 ლარის, „ხალიკ ბანკი საქართველომ“ – 486.546 ლარის, „ტერაბანკმა“ – 884.779 ლარის, „ლიბერთი ბანკმა“ – 66.770 ლარის, ხოლო „ზირაათ ბანკი საქართველომ“ – 47.348 ლარის.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, „იშ ბანკი საქართველოს“, „პაშა ბანკი საქართველოსა“ და „პროკრედიტ ბანკს“ დასაკუთრებული ქონება არ აქვთ.

2019 წლის 1-ელ კვარტალში ბაზარზე სულ 15 კომერციული ბანკი ოპერირებდა.

BMG

ბანკებმა 3 თვეში მოსახლეობისგან ჯარიმებით 23,3 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს

კომერციულმა ბანკებმა 2019 წლის 3 თვის განმავლობაში საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 23.376.969 ლარის შემოსავალი მიიღეს (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 18.038.840 ლარი).

როგორც კომერციული ბანკების ანგარიშგებაში ვკითხულობთ, ჯარიმებიდან ყველაზე მეტი შემოსავალი „თიბისი ბანკმა“ მიიღო – 7.331.099 ლარი. მეორე ადგილზეა „საქართველოს ბანკი“ – 4.525.409 ლარი.

მესამე ადგილზეა „კრედო“ – მან 2019 წლის პირველ კვარტალში საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 3.364.527 ლარის შემოსავალი მიიღო. მეოთხე ადგილზეა – „ბანკი ქართუ“ – 2,931.708 ლარი, ტოპხუთეულშია „ლიბერთი ბანკი“ 2 257 744 ლარის შემოსავლით.

Bpn

85 წლის ომარ გამყრელიძე: „ეშმაკები მყავდა, ეშმაკები თავში მირტყამდნენ რაღაცებს“

„ჩემი შვილი, რძალი და მეზობლები ბუჩქებში დამალულმა უცნობმა მოკლა“

4 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურაში 4 ადამიანის მკვლელობაში ბრალდებულ 85 წლის მამაკაცს კახეთის სამხარეო პოლიციაში ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

ომარ გამყრელიძეს ბრალდების მხარე ოჯახური ძალადობის ნიადაგზე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით ედავება.

ბრალდებულს სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი, ირინა იჩუკაიძე, დაიცავს.

ადვოკატის თქმით, იმის გამო, რომ ბრალდებული ასაკიანია, სასამართლოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია, საქმის განხილვის დროს მას გარკვეული შეღავათი დაუწესოს და მაგალითად, სამუდამო პატიმრობა არ მიუსაჯოს.

აღიარებს თუ არა მამაკაცი ჩადენილ დანაშაულს, ადვოკატი, ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, არ საუბრობს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რას ყვება ომარ გამყრელიძე.

ერთ-ერთი ყანდაურელის თქმით, მოხუცი დანაშაულს არ აღიარებს. ამბობს, რომ მისი ოჯახის წევრები და მეზობლები ბუჩქებში დამალულმა, მისთვის უცნობმა პირმა მოკლა.

ირკვევა, რომ ომარ გამყრელიძეს უკვე დიდი ხანია ოჯახის წევრებთან კონფლიქტი ჰქონდა, – ამის შესახებ სოფელ ყანდაურაში მოკლული ქალის ნათესავი საუბრობს.

როგორც მოკლული რძლის დეიდა ამბობს, წყვილს შვილი არ ჰყოლია. ისინი 10 წელი იყვნენ ქორწინებაში. მამამთილი კი ფიქრობდა, რომ მისი უძრავი ქონება რძალს თავისი ახლობლებისთვის უნდოდა.

– ოჯახში უკმაყოფილება იყო, სულ ჩხუბი იყო. თავიდან ერთად ცხოვრობდნენ, შემდეგ ცალკე აიშენა მამამთილმა სახლი და გადავიდა. ხშირად მოდიოდა ხოლმე და ამბობდა, ეს სახლი ჩემი აშენებულია და უნდა ვიაროო. ჩემს დიშვილს ეჩხუბებოდა, უშვილო ხარ და სახლი შენი ძმიშვილებისთვის გინდაო – განუცხადა „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილი ქალის დეიდამ.

ოჯახს ძალიან უჭირდა. მეზობლები ყვებიან, რომ ომარ გამყრელიძეს ბადიაურში ვენახები აქვს. მას სულ 3 შვილი ჰყავდა. ის წლების განმავლობაში არ ელაპარაკებოდა შვილსა და რძალს. ბრალდებულთან ურთიერთობას სოფელში ყველა ერიდებოდა.

პროკურორი: „მკვლელობის დროს 2 იარაღია გამოყენებული“

მოკლულ შვილს ბავშვობიდან ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. როგორც ადგილობრივი ამბობს, რძალი კარგი და მშრომელი გოგო იყო, ვინაიდან ოჯახს ძალიან უჭირდა, ახალგაზრდა გოგო მინდვრებში მუშაობდა და ბოსტნეულს ყიდდა.

მეზობლების თქმით, ომარ გამყრელიძე წარსულში პირუტყვის ქურდობისთვის არის ნასამართლევი. კაცმა საპატიმრო 1989 წელს დატოვა.

5 მაისს თელავის რაიონულმა სასამართლომ ომარ გამყრელიძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელა.

პროცესის დაწყებისას ბრალდებულმა განაცხადა, რომ მოსამართლე თამარ კაპანაძის მიმართ უნდობლობა ჰქონდა და მისი აცილება მოითხოვა.

ბრალდებულის შუამდგომლობა მოსამართლემ არ გაითვალისწინა.

სასამართლო სხდომაზე ომარ გამყრელიძემ განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

– ეშმაკები მყავდა, ეშმაკები თავში მირტყამდნენ რაღაცებს. მე არ გავსამართლდები. არ მინდა გასამართლება. მე იმდენი უბედურება მაქვს გადატანილი, რა უნდა მომისაჯონ. არ მომიკლავს არავინ. შემახვედრონ პირისპირ იმ ადამიანებს და პოლიციელებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ იარაღს ვისროდი და ხალხის ვხოცავდი, – განაცხადა ომარ გამყრელიძემ.

მისი თქმით, პოლიციელებმა მასზე იძალადეს.

საბოლოოდ სასამართლომ ომარ გამყრელიძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მან პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა, ხოლო სახაზინო ადვოკატის შუამდგომლობა გამყრელიძის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ, არ გაითვალისწინა.

პროკურორის განმარტებით, მკვლელობის საქმეში სავარაუდოდ, 2 იარაღია გამოყენებული, ე.წ. გეკოს ტიპის და ავტომატური იარაღი, გარდა ამის, გამყრელიძის დამხმარე სათავსოში აღმოჩენილია სანადირო თოფი, საბრძოლო ვაზნები და მჭიდი.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 25 ივნისს ჩაინიშნა.

ირინა ონაშვილის გაქურდვის ბრალდებით დაკავებული ნათია მირუაშვილი გამოუშვეს

„მის საქართველო 2003“-ის, ირინა ონაშვილის გაქურდვის ბრალდებით დაკავებული 45 წლამდე ქალი ნათია მირუაშვილი, რომელიც მოდელის სახლში დამხმარედ მუშაობდა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ირინა ონაშვილმა მიაწოდა.

მისთვის უცნობია, რის საფუძველზე გაათავისუფლეს ბრალდებული.

– ვიცი, რომ გაათავისუფლეს, 2-თვიან პატიმრობაში იმყოფებოდა. სამართლებრივად როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, ზუსტად არ ვიცი. საბოლოოდ როგორ შეთანხმდებიან, არც ამაში ვარ ჩახედული. როგორც გამომძიებელმა მითხრა, რაღაც პროცესი კიდევ არის ჩანიშნული, – აცხადებს ონაშვილი.

მისივე ცნობით, ბრალდებულმა ქალმა სხვა ოჯახებიდანაც მიითვისა გარკვეული ნივთები.

– დიახ, ასე ვიცი, რომ სხვა ოჯახებიდანაც რაღაც ნივთები აქვს აღებული. ამას თვითონაც აღიარებს. სხვა დეტალები არ ვიცი და ვერაფერს გეტყვით, არ მინდა, შევცდე. ჩემი ნივთები ჯერ არ დაუბრუნებიათ, რადგან პროცესები მიმდინარეობს.

საუბარი ძალიან მიჭირს და მოვერიდები პასუხების გაცემას. რეალურად, თუ დანაშაულს ჩადის ვინმე, პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს, მაგრამ ეს ყველაფერი შესაბამისმა ორგანოებმა გადაწყვიტონ, – აცხადებს ონაშვილი.

პროკურატურის ინფორმაციით, 2019 წლის 30 აპრილს, ნათია მირუაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ირინე ონაშვილის სამკაულების ქურდობის ფაქტზე და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე გამოსაცდელი ვადით.

საუბარია დაახლოებით 10.000 ლარის ღირებულების სამკაულების ქურდობაზე.

როგორც ონაშვილი აცხადებს, ფაქტი გასული წლის ოქტომბერში მოხდა, თუმცა სამართალდამცავებს გვიან მიმართა.

ქურდობაში ბრალდებული ქალი 20 თებერვალს დააკავეს.

67 წლის იზოლდა უძილაური 34 წლის რამაზ უძილაურს გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს

67 წლის ფშაველი ქალი 34 წლის მეზობელ მამაკაცს გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს.

იზოლდა უძილაური კურიერთან იხსენებს, რომ 1 მაისის ღამეს სახლში მარტო იმყოფებოდა, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც აღკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო, მასთან მივიდა, ხანმოკლეს საუბრის შემდეგ კი მასზე ძალადობა ცადა.

შემთხვევის დროს იზოლდა უძილაურის გულის შეტევა განუვითარდა. მისი თქმით, ეზოში გავიდა, სადაც მეზობელმა მოასულიერა და გაუპატიურება ისევ ცადა. იზოლდა უძილაური ყვება, რომ მოძალადეს ხმაურის შეეშინდა და ამიტომ გაიქცა.

ქალის განცხადებით, წასვლის წინ მამაკაცი მსხვერპლს დაემუქრა, რომ თუ ამბავს გაახმაურებდა, მაშინ ძალადობას ისევ შეეცდებოდა.

იზოლდა უძილაურმა პოლიციაში იჩივლა, თუმცა დაკავებიდან მეორე დღეს 34 წლის მეზობელი გაათავისუფლეს. გამოძიება დნმ-ის ექსპერტიზის პასუხს ელოდება.

67 წლის ქალმა ძალადობის ამბის ტელეფონერით გახმაურება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მიხვდა, რომ პოლიცია დამნაშავეს არ სჯიდა. იზოლდა უძილაური დახმარებას საზოგადოებას სთხოვს, რადგან ეშინია, რომ ძალადობის მსხვერპლი ისევ გახდება. 67 წლის ქალი სახლში მარტო დარჩენის ეშინია. ძალადობის შემდეგ ღამე სოფლის გამგებლის ოჯახში გაათენა.

მძიმე ბრალდების ადრესატი რამაზ უძილაური კამერების წინ არ გამოჩენილა, დედ-მამა კი კურიერის გადამღებ ჯგუფს ჯოხით გაეკიდა.

იზოლდა უძილაურის შვილი – ია ბაიაშვილი, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ამბობს, რომ რამაზ უძილაური წარსულში არაერთხელ ნასამართლევია.

შსს-მ შაბათის კურიერში გასული ანონსის შემდეგ გაავრცელა ინფორმაცია, რომ წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 34 წლის კაცი მეზობელ 67 წლის ქალზე სექსუალური ძალადობისთვის დააკავეს.

თბილისში ერაყის მოქალაქე საკუთარ ქალიშვილებზე ძალადობის ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერაყის მოქალაქე თბილისში ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახში ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, ერაყის მოქალაქე, ამჟამად საქართველოში დროებითი ბინადრობის უფლების მქონე, 1976 წელს დაბადებული მ.შ. თბილისში დააკავა.

ჩადენილი დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მ.შ.-მ მიმდინარე წლის 30 აპრილს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციას მიმართა და სახლიდან გაქცეული არასრულწლოვანი შვილების მოძებნაში დახმარება ითხოვა. იმავე დღეს, პოლიციას აღნიშნული მოქალაქის არასრულწლოვანმა შვილებმაც მიმართეს და განაცხადეს, რომ მამა მათზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სისტემატურად ძალადობდა.

საგამოძიებო პროცესებში ჩაერთნენ სოციალური მუშაკებიც, რომლებმაც ორივე გოგონა დაუყოვნებლივ მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაიყვანეს.

პოლიციამ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაადგინა, რომ მ.შ. საკუთარ შვილებზე ძალადობდა, რის გამოც იგი ბრალდებულის სახით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეცნობით ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აჭარაში მამაკაცმა ორ პატარა ბიჭზე სექსუალურად იძალადა

აჭარაში მამაკაცმა ორ არასრულწლოვან ბიჭზე სექსუალურად იძალადა.

სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული ერთ-ერთი ბიჭის ნათესავია.

შემზარავი ფაქტის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ბრალდებული გარყვნილ ქმედებას სკოლის ტერიტორიაზე ჩადიოდა და მანდატურმა გამოავლინა.

დამატებითი დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

იგოეთთან მანქანა გზიდან გადავარდა

დაშავდა ცოლ-ქმარი

ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, სოფელ იგოეთთან, მსუბუქი ავტომობილი მოცურდა და გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

„ნიუპოსტის“ ცნობით, შემთხვევის შედეგად დაშავდა ცოლ-ქმარი. ისინი სასწრაფომ კასპის საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

იყალთოში ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორი გელა გერმანიშვილი მოკლეს

4 მაისს სოფელ იყალთოში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 44 წლის გელა გერმანიშვილი მოკლეს.

შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც გერმანიშვილი ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობდა. მასთან მისივე თანასოფლელი და მეზობელი მივიდა, იარაღი ესროლა და მიიმალა. გასროლას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

რა გახდა ურთიერთდაპირისპირების მიზეზი, ამ დროისთვის უცნობია.

მამაკაცი, რომელიც ბენზინგასამართ სადგურზე ოპერატორად მუშაობდა, თელავის რეფერალურ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ამბების ინფორმაციით, გელა გერმანიშვილს მეუღლე და სამი შვილი დარჩა. ოჯახი მეოთხე შვილს ელოდებოდა.

მომხდარზე ორი ვერსია ვრცელდება.

პირველი ვერსიის თანახმად, გელა გერმანიშვილს მანქანიდან ესროლეს, მეორე ვერსიის მიხედვით კი ბენზინგასამართ სადგურთან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი უმისამართოდ იშვერდა იარაღს, ამ დროს გერმანიშვილმა შენიშვნა მისცა და გასროლა სწორედ მაშინ მოხდა.

გელა გერმანიშვილს ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული.

თბილისი-ოზურგეთის ავტობუსს ოპელი დაეჯახა

3 ადამიანი დაშავდა

3 მაისს თბილისი-ოზურგეთის მიმართულებით მოძრავი სამგზავრო ავტობუსი ავარიაში მოჰყვა.

თბილისიდან გამოსულ ავტობუსს სამტრედიაში სოფელ დაფნართან საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მსუბუქი მანქანა დაეჯახა, რომელიც გზაზე მოცურდა. მას დაჯახების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად არის დამწვარი.

ავტობუსი სერიოზულადაა დაზიანებული, მგზავრები არ დაშავებულან.

ავტობუსის მძღოლი პოლიციაში გამოკითხვაზე გადაიყვანეს.

„ოპელში“ მჯდომი სამივე მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა. ისინი სამტრედიის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

გურიის მოამბე

ჯუდ ლოუმ თავის მეგობარ ქალზე ფარულად იქორწინა

ბრიტანელმა მსახიობმა ჯუდ ლოუმ ფარულად იქორწინა თავის მეგობარ ქალზე, ფსიქოლოგ ფილიპე კოანზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქორწინო ცერემონია 30 აპრილს ლონდონის ცენტრში ოლდ-მერილებონის რატუშაში გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ წყვილმა გადაწყვიტა საზეიმო ღონისძიებაზე ჰოლივუდელი სტუმრები არ მიეწვიათ და მას მხოლოდ ოჯახის წევრები და ძალიან ახლო მეგობრები ესწრებოდნენ. ცერემონიაზე წყვილს ფოტოსურათები არ გადაუღია და მალევე დატოვეს ქორწინების ადგილი. ღონისძიების დახურული ფორმატი სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ბრიტანული პრესისთვის, ვინაიდან ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლოუ და კოანი დაქორწინებას საფრანგეთში შოუ-ბიზნესში მათი ახლობლების გარემოცვაში აპირებდნენ.

წყვილმა ნიშნობის თაობაზე განცხადება მიმდინარე წლის თებერვალში გააკეთა. ისინი ერთმანეთს ოთხი წლის მანძილზე ხვდებოდნენ.

ინდოეთში თოვლის კაცის ნაკვალევი იპოვეს



ინდოეთის არმიამ ტვიტერში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა თოვლის კაცის „მისტიკური“ ნაკვალევის ფოტოსურათები, რომელსაც სამხედროებმა ჰიმალაებში მიაგნეს.

საზოგადოებრივი ინფორმაციის უწყების გენერალური დირექტორის გვერდზე ნათქვამია, რომ სამხედრო მთამსვლელების ექსპედიცია პირველად 81-ი 38-ზე სანტიმეტრის ზომის ნაკვალევს „მაკალუს“ ბაზის მახლობლად გადააწყდა. ამასთან ადრე თოვლის კაცი მხოლოდ „მაკალუ-ბარუნის“ ეროვნულ პარკში ყავდათ შემჩნეული, წერენ სამხედროები.

სამხედროებმა ფოტოსურათები ჯერ კიდევ 9 აპრილს გადაიღეს, თუმცა ისინი მხოლოდ ახლახან გამოაქვეყნეს მას შემდეგ, რაც გადაწყვიტეს, რომ ისინი თოვლის კაცზე ადრე გავრცელებულ თეორიებს შეესატყვისებოდნენ.

– ჩვენ გონივრულად ჩავთვალეთ ამ ფოტოსურათების გამოქვეყნება, რათა მის მიმართ სამეცნიერო ინტერესი განახლდეს და აღორძინდეს, – განაცხადეს სამხედროებმა და იქვე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მტკიცებულებები ექსპერტებს გადაეცათ.

მგლები ძაღლებზე უფრო მზრუნველები აღმოჩნდნენ

ავსტრიელი მეცნიერები რამდენიმე ცდის ჩატარების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მგლები თავიანთი ხროვის წევრებზე უფრო მეტად ზრუნავენ, ვიდრე ძაღლები. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ძაღლების, როგორც მზრუნველი ცხოველის რეპუტაცია, შეცდომაა. კვლევის შედეგები ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა.

ორი წლის წინ ვენის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა რეიჩელ დეილმა და მისმა კოლეგებმა მთელი რიგი ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომლებმაც აჩვენეს, რომ მგლები უფრო მეტად ურთიერთობენ ნადირობის დროს თანამომძებებთან, ვიდრე ძაღლები. მოგვიანებით მათი ეს დასკვნები კრიტიკის ობიექტად იქცა და მაშინ მეცნიერებმა ცდები გაართულეს. მათ მგლები და ძაღლები სხვადასხვა გალიებში მოათავსეს. ერთ გალიაში დადგმული იყო ჯამი, მეორეში კი კედელზე მოთავსებული იყო პლანშეტი სხვადასხვა სურათებით.

მეორე გალიაში მყოფ ცხოველს საშუალება ეძლეოდა, ცხვირი მიეჭირა ერთ-ერთი სურათისთვის. თუ ძაღლი ან მგელი სწორ არჩევანს აკეთებდა და შესაბამის სურათს აჭერდა, მაშინ მისი მეზობელი რობოტის საშუალებით საჭმელს იღებდა. ამასთან, თვითონ ის ცხოველი, რომელიც პლანშეტს ცხვირს აჭერდა, არაფერს იღებდა. ამას კი უნდა წარმოეჩინა, ისინი ეგოისტები იყვნენ, თუ ალტრუისტები.

ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ მგლები გაცილებით ხშირად აჭერდნენ სურათს, რათა მათ თანამომძეს, რომელიც მისი ხროვის წევრი იყო, საკვები მიეღო. ხოლო თუ გვერდით გალიაში მათთვის უცნობი თანამომძე იჯდა, ამას არ აკეთებდნენ.

ძაღლები კი ამას ერთნაირად აკეთებდნენ, როგორც თავისიანის, ისე უცხოსთვის, თუმცა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, აძლევდნენ პირადად მათ საკვების მცირე პორციას მაინც თუ არა.

ზოოლოგები მიიჩნევენ, რომ მგლები, როგორც მინიმუმ, ძაღლებზე არანაკლებ სოციალურები არიან. გარდა ამისა გაირკვა, რომ თანამედროვე ძაღლების წინაპრები თავიდანვე იყვნენ შეწყობილები საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და მათი მოშინაურების პროცესს მათ ცვლილებაში დიდი როლი არ შეუსრულებია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

როდის შედგება ზელენსკის ინაუგურაცია?

უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი პარლამენტში მივიდა. ის სპიკერ ანდრეი პარუბიის, აგრეთვე ფრაქციების ხელმძღვანელებს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია იყო.

ზელენსკის სურს, ინაუგურაცია 19 მაისს დანიშნოს. პარლამენტის სპიკერი პარუბიი ამის წინააღმდეგია, რადგან ამ შემთხვევაში რადის დათხოვნის ალბათობა დიდია. რადის უფლებამოსილების შეჩერებამდე 6 თვით ადრე პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება არ აქვს. რადას უფლებამოსილება ამა წლის ნოემბრის დასაწყისში ეწურება. შესაბამისად, თუკი ინაუგურაცია მაისის ბოლოს დაინიშნება, რადის დათხოვნა შეუძლებელი გახდება.

– ინაუგურაციის 19 მაისს დანიშვნა ზელენსკის რადის დაშლისა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების შანსს აძლევს, – აცხადებს პოლიტოლოგი ევგენი მაგდა.

დღეისთვის ზელენსკის რეიტინგმა მაქსიმუმს მიაღწია. ის 73%-ია. ვადამდელი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში მისი პარტია აბსოლუტურ უმრავლესობას მოიპოვებს. ამიტომაც ზელენსკის ვადამდელი არჩევნების ჩატარება სურს. პარლამენტის სპიკერი პარუბიი ამის წინააღმდეგია.

– ვადამდელი არჩევნები უკრაინას არ სჭირდება, – თქვა პარუბიიმ.

ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ პარუბიიმ ფრაქციათა ხელმძღვანელების სასწრაფო შეკრება ბრძანა. მისი აზრით, ინაუგურაცია 27 მაისს უნდა გაიმართოს.

ნატოს გაერთიანებულ ძალებს ევროპაში ახალი სარდალი ჰყავს

ნატოს გაერთიანებულ ძალებს ევროპაში ახალი სარდალი ჰყავს. გენერალი სკარამოტი გენერალმა უოლტერსმა შეცვალა.

50 წლის ტოდ უოლტერსი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალია, როგორც სამხედრო მფრინავი, მონაწილეობდა ოპერაციებში აფრიკაში, ერაყსა და ავღანეთში.

ჩრდილოეთ კორეამ რაკეტების გამოცდა განაახლა

ჩრდილოეთ კორეამ ტაქტიკური რაკეტების გამოცდა განაახლა.

გამოცდებს თავად დიქტატორი კიმ ჩენ ინი დაესწრო.

– მე კმაყოფილი ვარ! – განაცხადა კიმმა.

ტაილანდის ტახტზე ახალი მეფე ავიდა

ტაილანდის ტახტზე ახალი მეფე, რამი მეათე ავიდა. ის მამის სიკვდილის შემდეგ გახდა მონარქი.

რამის თავზე გვირგვინი საზეიმოდ დაადგეს. ის 73 კილოგრამია და მთლიანად ოქროსა და ბრილიანტებისგან არის დამზადებული.

რამი მეათემ პირველი ბრძანებაც გასცა. ის იღებს თავის თავზე ვალდებულებას, რომ ადამიანის უფლებები დაიცვას.

მასობრივი მკვლელობა ჩელიაბინსკში

ქალაქ ნიაზპეტროვსკში (ჩელიაბინსკის ოლქი) მასობრივი მკვლელობა მოხდა. აღმოაჩინეს მამაკაცის, 2 ქალისა და 14 წლის ბიჭის გვამები.

ყველა მათგანს ჭრილობები მიყენებული აქვს დანით.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე დააკავეს. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

უხვგოლიანი ჯერი და თრილერები

ტორპედო-დინამო (თბ) 3:2

წყალტუბო. 26 მაისი

1:0, 2:0 ქავთარაძე (3,28), 2:1 საბანაძე (45პ), 2:2 ფლამარიონი (61), 3:2 ზივზივაძე (80)

ტორპედო: კვასხვაძე, ხურცილავა, ცინცაძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე, წიქარიძე (თ.კაპანაძე 64), ზივზივაძე (ჭიჭინაძე 83), აზაკი, გეგეჭკორი, კობახიძე, ლუკა (დოლიძე 46)

დინამო: ალავიძე, ადამაძე, მანჯგალაძე, საბანაძე (თევდორაძე 72), ფლამარიონი, მამუჩაშვილი, ჯანელიძე (რ.ჭანტურია 82), მელიავა (ჩალაძე 68), გაგოშიძე, ნავალოვსკი, რამოსი

ტურის ცენტრალური მატჩი წყალტუბოს განახლებულ სტადიონზე გაიმართა. ქომაგი ორივე გუნდს მრავლად ჰყავდა და მატჩიც თვალსაჩინო გამოდგა. სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა დრამატული შეხვედრა იხილეს.

მასპინძლები ნოდარ ქავთარაძემ მატჩის დებიუტშივე დააწინაურა. გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა და სეზონის ერთ-ერთ საუკეთესოობაზე აცხადებს პრეტენზიას.

28-ე წუთზე ქავთარაძემ კიდევ ერთი ბურთი გაუტანა მიხეილ ალავიძეს და ტორპედომ სერიოზული ჰანდიკაპი მიიღო. თუმცა, ბათუმელები ასეთ დროს რომ არ ტყდებიან, ეს წინა ტურშიც ვიხილეთ, როდესაც საბურთალოს 2-ბურთიანი ჩამორჩენა არათუ გაუბათილა, არამედ მოუგო კიდეც მატჩი.

იმავეს გამეორებას ზღვისპირელები ამჯერადაც შეეცადნენ: გია გეგუჩაძის გუნდმა სხვაობა ტაიმის მიწურულს თერთმეტმეტრიანი დარტყმით შეამცირა – პენალტი ზუსტად ნიკოლოზ საბანაძემ შეასრულა. შეხვედრის მეორე ნახევარში ფლამარიონმა ანგარიში გაათანაბრა.

სტუმრები ახლოს იყვნენ კიდევ ერთი შეხვედრის შემობრუნებასთან, თუმცა გამარჯვების გოლი თამაშის მიწურულს ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა და ტორპედოს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

დინამო (თბ)-სიონი 5:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 კუტალია (4), 2:0 პაპავა (25), 2:1 ისიანი (27), 3:1 კუტალია (60), 4:1 ქარდავა (85), 5:1 მონხილი (90)

დინამო: პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუბი, იაშვილი, ნინუა, პაპავა, შენგელია (კარბია 73, აზაროვი 83), კუხიანიძე (ქარდავა 78), შულაია, კუტალია

სიონი: ლ.ისიანი, თომაშვილი, აფაქიძე, ჩაჩუა, სუხიაშვილი, ხმალაძე (რაჟამაშვილი 72), თარხნიშვილი, ქიქავა (მაქაცარია 63), კირკიტაძე (თარგამაძე 46), ვ.ისიანი, უგულავა

მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა თბილისის დინამომაც, რომელმაც საკუთარ არენაზე ბოლნისის სიონი 5:1 გაანადგურა.

კოკისპირულ წვიმაში და წყლით სავსე სტადიონზე მიმდინარე მატჩის მე-3 წუთზე მასპინძლები ლევან კუტალიამ დააწინაურა.

25-ე წუთზე მეორედ ბოლნისელთა კარი გიორგი პაპავამ აიღო. რამდენიმე წუთში ვილი ისიანმა შორეული დარტყმით ანგარიში შეამცირა და თამაშში ინტრიგა დააბრუნა.

მე-2 ტაიმში დინამოელთა უპირატესობა 2 ბურთამდე კუტალიამ გაზარდა, რასაც მატჩის მიწურულს ქარდავასა და მონხილის გოლები მოჰყვა.

დინამომ 2 ვერმოგებული მატჩის შემდეგ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ბათუმის დინამოსთან გასვლითი თამაშის წინ კარგი ფსიქოლოგიური განწყობა შეიქმნა.

ვიტ ჯორჯია-რუსთავი 2:3

თბილისი. მიხეილ მესხი 2

90-ე წუთზე ყიფიანმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

1:0 კაკაშვილი (2), 2:0 გეთიაშვილი (28), 2:0 ყიფიანი (76), 2:2 სილაგაძე (83), 2:3 გისტაროვი (90)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, გაფრინდაშვილი, ლაცაბიძე, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი, ვასაძე, კაკაშვილი (მუსელიანი 61), ღუდუშაური (მუზაშვილი 81), ღირდალაძე (ჩიტიშვილი 67)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ტაკულოვი (იმნაძე 46), ჭიჭაღუა (ლ.გადრანი 46), ფონიავა, სილაგაძე, გუჯაბიძე, ჩოგაძე (ყიფიანი 57), ქოჩლაძე, გისტაროვი, ციცქიშვილი

ეს მატჩიც უხვგოლიანი გამოდგა და არანაკლებ დრამატული ვიდრე ტორპედოსა და ბათუმის დინამოს მატჩი. აქაც 2 ბურთით იგებდნენ მასპინძლები, თუმცა, რუსთაველებმა მოახერხეს და შინ 3 ქულით დაბრუნდნენ.

ვიტ ჯორჯია კაკაშვილისა და გეთიაშვილის მიერ გატანილი გოლების წყალობით იგებდა, მაგრამ მატჩის ბოლო 25 წუთში რუსთაველთა მხრიდან გოლები ყიფიანმა, სილაგაძემ და გისტაროვმა გაიტანეს და გუნდს სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანეს.

1.დინამო (ბთ)	11	7	1	3	17-11	22
2.საბურთალო	10	7	0	3	23-16	21
3.დინამო (თბ)	11	6	2	3	22-10	20
4.ტორპედო	11	6	2	3	15-12	20
5.ჩიხურა	10	3	6	1	14-9	15
6.სიონი	11	4	2	5	15-24	14
7.დილა	10	3	2	5	8-10	11
8.ვიტ ჯორჯია	11	3	2	6	7-12	11
9.ლოკომოტივი	10	3	0	7	12-17	9
10.რუსთავი	11	1	3	7	9-21	6

ევროპული ფეხბურთის ბედი დღეს მალტაზე გადაწყდება

დღეს ევროპული საკლუბო ფეხბურთისთვის, შესაძლოა, ბევრი რამ გადაწყდეს. კუნძულ მალტაზე ევროპული კლუბების ასოციაციის შეკრებაა, რომელშიც მონაწილეობას 232 კლუბის წარმომადგენელი მიიღებს და ფეხბურთის „შეცვლას“ შეეცდებიან.

თუმცა, უფრო მრავლად არიან კლუბები, რომლებსაც ევროპული კლუბების ასოციაციის პრეზიდენტ ანდრეა ანიელის წერილი არ მიუღიათ და პროტესტის ნიშნად წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებიან.

რაშია საქმე? უმთავრესი თემა ჩემპიონთა ლიგა იქნება, თუმცა – ახალი ფორმატი:

ტურნირზე დარჩება 32 გუნდი, თუმცა ჯგუფურ ეტაპზე 8-ის ნაცვლად იქნება 4 ჯგუფი და თითოეულში 8-8 გუნდი. შედეგად, ჩემპიონთა ლიგის ყველა მონაწილე მინიმუმ 14 შეხვედრას გამართავს.

ჯგუფში 1-6 ადგილზე გასული გუნდები ჩემპიონთა ლიგის შემდეგ სეზონში ადგილს შეინარჩუნებს. ეს ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ყოველ წელს, მაქსიმუმ, 8 ახალი კლუბი შეიძლება მოხვდეს. ჯერჯერობით, არ კონკრეტდება, რა პრინციპით იქნება განაწილებული ეს 8 ადგილი.

გარდა ამისა, ანიელის იდეაა ევროთასების მატჩების შაბათ-კვირას გადატანა, ხოლო შიდა ჩემპიონატების კვირის შუაში ჩატარება. ეს არ მოსწონთ ადგილობრივ ფედერაციებსა და ასოციაციებს.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ანიელიმ სუპერლიგის ჩატარების იდეა უკუაგდო. ამ იდეას ევროპული ტოპკლუბები განიხილავდნენ.

ანდრეა ანიელი:

– მომავალი ჯერ ისევ არ არის გარკვეული, მაგრამ როგორც იუვესა და ეკა-ს წარმომადგენელი, უარს ვამბობ სუპერლიგის იდეაზე.

როდესაც ანიელი ამ სიტყვებს ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე ამბობდა, მისგან მარჯვნივ უეფას პრეზიდენტი ალექსანდრ ჩეფერინი იჯდა.

მას შემდეგ ეკა-სა და უეფას ურთიერთობა კიდევ უფრო მყარი გახდა. ანიელი მაშინ დაეხმარა უეფას, როცა უეფა ძალიან რისკავდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, იტალიელ ბიზნესმენს ეს ტყუილუბრალოდ არ გაუკეთებია. ისტორიული ოჯახის შთამომავალმა რეფორმების იდეა ჯერ კიდევ 2018 წლის გაზაფხულზე გაახმოვანა.

– ჩვენ გვსურს ევროთასების თამაშების გაზრდა და შიდა ჩემპიონატების მატჩების შემცირება. ამასთანავე, არ გვინდა სეზონში შეხვედრების ზოგადი ლიმიტის გადაჭარბება. შეგიძლიათ თქვათ, რომ გუნდები შიდა ჩემპიონატში ახალგაზრდული გუნდებით ითამაშებენ, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ პროექტია, ჩვენ იდეების განხილვას ვაპირებთ.

მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. კლუბებისთვის დაგზავნილ დოკუმენტში ვკითხულობთ:

– ახალი ფორმატი მობილურობასა და დინამიკურობას შემატებს კლუბებს გავარდნისა და მიღწევების დამსახურებით. მონაწილეთა შემადგენლობა განისაზღვრება სპორტული მერიტოკრატიის პრინციპით და არა ისტორიული პრივილეგიებით.

მარტში, ეკა-ს კონფერენციაზე ანიელის ლოგიკური შეკითხვა დაუსვეს, თუ რითი განსხვავდებოდა მისი პროექტი სუპერლიგის ვარიანტისაგან. მოკლედ რომ ვთქვათ, მათი პასუხი იყო, რომ პატარა კლუბების ინტერესებს ევროპა ლიგის განახლებული ვერსია და მესამე ევროტურნირი (2021-22 წლების სეზონიდან დაიწყება) დაიცავს.

– გვსურს, რომ ყველა დიდი ევროპული კლუბი მონაწილეობას იღებდეს ევროპულ სისტემაში და ამ სისტემაში გაიზარდონ. ჩვენ, ყველას, მანჩესტერ იუნაიტედს, რეალს, იუვენტუსს ან ლეგიას, სპორტინგსა და ანდერლეხტს გვსურს საერთაშორისო გაფართოება, რათა ჩვენი ბრენდების განვითარება შევძლოთ. დღეს კი ბრენდის განვითარებას ყველაფერი ხელს უშლის.

განცხადება ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმულაციაზე არის პასუხი ჯანი ინფანტინოსა და ფიფასთვის, რომელთაც საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება სურთ – 2021 წლიდან კონფედერაციის თასის ნაცვლად და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

4 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბორნმუთი-ტოტენჰემი 1:0
ნიუკასლი-ლივერპული 2:3
ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი 3:0
ვულვზი-ფულემი 1:0
კარდიფი-კრ.პალასი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	37	29	7	1	87-22	94
2.სიტი	36	30	2	4	90-22	92
3.ტოტენჰემი	36	23	1	12	65-36	70
4.ჩელსი	36	20	8	8	60-39	68
5.არსენალი	36	20	6	10	69-49	66
6.მაჩესტერი	36	19	8	9	64-51	65
7.ვულვზი	37	16	9	12	47-44	57
8.ევერტონი	37	15	8	14	52-44	53
9.ლესტერი	36	15	6	15	51-47	51
10.უოტფორდი	36	14	8	14	51-52	50
11.ვესტ ჰემი	37	14	7	16	48-54	49
12.კრ.პალასი	37	13	7	17	46-50	46
13.ბორნმუთი	37	13	6	18	53-65	45
14.ნიუკასლი	37	11	9	17	38-48	42
15.ბარნლი	37	11	7	19	44-65	40
16.საუთჰემპტონი	37	9	11	17	44-64	38
17.ბრაიტონი	36	9	8	19	33-55	35
18.კარდიფი	37	9	4	24	32-69	31
19.ფულემი	37	7	5	25	34-77	26
20.ჰადერსფილდი	36	3	5	28	20-74	14

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ატლეტიკო 3:0
სელტა-ბარსელონა 2:0
ლევანტე-რაიო 4:1
ალავესი-სოსიედადი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	36	25	8	3	86-34	83
2.ატლეტიკო	36	22	8	6	52-26	74
3.რეალი	35	20	5	10	59-39	65
4.ხეტაფე	35	14	13	8	44-31	55
5.სევილია	36	16	7	13	59-46	55
6.ვალენსია	35	12	16	7	40-32	52
7.ბილბაო	35	12	14	9	38-41	50
8.სოსიედადი	36	12	11	13	42-43	47
9.ესპანიოლი	36	12	11	13	44-50	47
10.ალავესი	36	12	11	13	36-46	47
11.ლეგანესი	36	11	12	13	36-39	45
12.ბეტისი	35	12	8	15	40-50	44
13.ეიბარი	35	10	13	12	43-47	43
14.ვილიარეალი	35	9	13	13	44-47	40
15.სელტა	36	10	10	16	50-57	40
16.ლევანტე	36	10	10	16	55-63	40
17.ხირონა	35	9	10	16	35-47	37
18.ვალიადოლიდი	35	8	11	16	29-48	35
19.რაიო	36	8	7	21	38-66	31
20.უესკა	35	6	12	17	38-56	30

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-ოსასუნა 0:0
სარაგოსა-დეპორტივო 0:1
ხიმნასტიკი-ესტრემადურა 0:1
ტენერიფე-ლას პალმასი 2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ჰოფენჰაიმი 2:2
ბაიერნი-ჰანოვერი 3:1
ჰერტა-შტუტგარტი 3:1
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი 2:0
ვერდერი-დორტმუნდი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	32	23	5	4	83-31	74
2.დორტმუნდი	32	21	7	4	76-42	70
3.ლაიფციგი	32	19	8	5	62-27	65
4.აინტრახტი	31	15	9	7	58-35	54
5.გლადბახი	32	15	7	10	51-40	52
6.ვოლფსბურგი	32	15	7	10	54-46	52
7.ლევერკუზენი	31	16	3	12	57-49	51
8.ჰოფენჰაიმი	32	13	12	7	68-47	51
9.ვერდერი	32	12	11	9	55-48	47
10.ფორტუნა	31	12	4	15	44-60	40
11.ჰერტა	32	10	10	12	44-49	40
12.მაინცი	32	10	7	15	40-55	37
13.ფრაიბურგი	31	7	11	13	40-56	32
14.აუგსბურგი	31	8	7	16	47-59	31
15.შალკე	31	8	6	17	36-54	30
16.შტუტგარტი	32	6	6	20	29-70	24
17.ნიურნბერგი	32	3	10	19	25-59	19
18.ჰანოვერი	32	4	6	22	27-69	18

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-მაგდებურგი 4:2
ჰამბურგი-ინგოლშტადი 0:3
ჰაიდენჰაიმი-ზანდჰაუზენი 2:3

იტალია. სერია ა

კიევო-სპალი 0:4
უდინეზე-ინტერი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	35	28	5	2	69-25	89
2.ნაპოლი	34	21	7	6	64-30	70
3.ინტერი	35	18	9	8	52-28	63
4.ატალანტა	34	17	8	9	68-42	59
5.რომა	34	16	10	8	61-46	58
6.ტორინო	35	14	15	6	45-30	57
7.მილანი	34	15	11	8	47-33	56
8.ლაციო	34	16	7	11	49-36	55
9.სამპდორია	34	14	6	14	54-46	48
10.სასუოლო	34	9	14	11	48-52	41
11.სპალი	35	11	9	15	39-48	42
12.ფიორენტინა	34	8	16	10	47-42	40
13.კალიარი	34	10	10	14	32-47	40
14.ბოლონია	34	9	10	15	37-48	37
15.პარმა	34	9	10	15	35-52	37
16.ჯენოა	34	8	11	15	36-53	35
17.უდინეზე	35	8	10	17	31-49	34
18.ემპოლი	34	7	8	19	43-66	29
19.ფროზინონე	34	5	8	21	26-62	23
20.კიევო	35	2	12	21	25-73	15

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ასკოლი-პალერმო 1:2
ვენეცია-პესკარა 2:2
კრემონეზე-ბრეშა 0:0
სპეცია-კროტონე 2:0
ჩიტადელა-ვერონა 3:0

საფეხბურთო. 1 ლიგა

ბორდო-ანჟე 0:1
პსჟ-ნიცა 1:1
გენგამი-კაენი 0:0
რეიმსი-ნიმი 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	35	27	4	4	98-31	85
2.ლილი	34	20	8	6	59-28	68
3.ლიონი	34	18	8	8	58-43	62
4.სტ.ეტიენი	34	17	8	9	52-37	59
5.მარსელი	35	16	7	12	54-47	55
6.მონპელიე	34	14	12	8	50-39	54
7.ნიცა	35	14	10	11	27-31	52
8.ნიმი	35	14	7	14	52-53	49
9.რეიმსი	35	11	16	8	33-38	49
10.სტრასბური	35	10	16	9	56-44	46
11.ანჟე	35	10	15	10	42-41	45
12.რენი	34	11	11	12	47-48	44
13.ნანტი	34	12	7	15	43-45	43
14.ბორდო	35	9	11	15	33-40	38
15.ტულუზა	34	8	12	14	30-48	36
16.მონაკო	34	7	12	15	34-51	33
17.ამიენი	34	8	9	17	28-48	33
18.კაენი	35	6	12	17	26-47	30
19.დიჟონი	34	7	7	20	27-51	28
20.გენგამი	35	5	10	20	24-63	25

საფეხბურთო. მე-2 ლიგა

ლანსი-კლერმონი 1:0

ჰოლანდია. პრემიერა ლიგა

მარიტიმუ-ბრაგა 1:0
ფეირენშუ-შავიში 4:4
ბენფიკა-პორტიმორენშე 5:1
პორტუ-ავიში 4:0

ჩესკეთი. პრემიერლიგა

ურალი-სპარტაკი 0:1
ახმატი-ზენიტი 1:1
არსენალი-ლოკომოტივი 2:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ციურიხი 3:0
გრასჰოპერსი-სტ.გალენი 0:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

მოზერველი-სტ.მირენი 1:1
სტ.ჯონსონი-ლივინგსტონი 1:1
დანდი-ჰამილტონი 0:1
აბერდინი-სლტიკი 0:3
ჰართსი-კილმანროკი 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-რაპიდი 3:4
ინსბრუკი-ჰარტბერგი 1:0
მატერსბურგი-ალტახი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

შარლერუა-სტ.ტრუიდენი 2:0
კორტრაიკი-ბევერენი 2:1
სერკლი-უნიონი 2:3
ეუპენი-ოსტენდე 3:2
ბეერსხოტი-ვესტერლო 3:2

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-რიზე 2:2
ერზრუმი-ბურსა 2:0
ქაშიმფაშა-ფენერბახჩე 1:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

სპარტა-ბანიკი 3:0
ლიბერეცი-სლავია 0:0

ბოლონეთი. ექსტრაკლასი

ლეხი-ზაგლებიე 1:1
ლეგია-პიასტი 0:1
კორონა-ლეგნიცა 0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-მარიუპოლი 0:1
დინამო-ოლექსანდრია 1:1
შახტარი-ლვოვი 5:0

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ესკილსტუნა 2:1
სიორიუსი-გიოტებორგი 4:2

გიოტებორგის პირველი გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა

ნორვეგია. ელიტსერია

ალესუნდი-სონგდალი 3:1

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

ქუთაისი სოლიდურად დაწინაურდა, მგზავრებმა სერია გაათანაბრა

კალათბურთში სუპერლიგის მეოთხედფინალური სერიის მორიგი მატჩები თბილისსა და ქუთაისში გაიმართა.

მგზავრები-ბათუმი 75:64

(22:14, 11:17, 19:15, 23:18)

მგზავრებმა ბათუმთან პირველი მატჩის წაგების შემდეგ მობილიზება შეძლო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. ბუბა ბერიშვილის განწვრთნილმა გუნდმა ზღვისპირელებს 75:64 სძლია და მომდევნო 2 მატჩის გასამართად ბათუმში მიემგზავრება.

მატჩი მგზავრების უპირატესობით წარიმართა, თუმცა ბათუმი უიმედოდ არ ყოფილა და თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ, შანსს ინარჩუნებდა. დიდი შესვენებისთვის მგზავრები 2 ქულას იგებდნენ, მესამე პერიოდიდან კი უპირატესობა კიდევ უფრო გაიმყარეს და თამაში ისე ჩაამთავრეს, მეტოქისთვის წარმატების შანსი არ მიუციათ. საბოლოოდ მგზავრებმა 11 ქულით იმარჯვა და სერია 1:1 გაათანაბრა, თუმცა მოედნის უპირატესობას ბათუმი ფლობს, რომელიც მომდევნო 2 მატჩს საკუთარ ქალაქში ჩაატარებს და და წარმატების შემთხვევაში ნახევარფინალში გავა.

მგზავრებში 15 ქულით საუკეთესო იყო ჯეიკობ არმსტრონგი. 12 ქულა მიითვალა ადრიან ბოუიმ, კახა ჯინჭარაძის ანგარიშზე კი 13 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. ბათუმში 15 ქულით კეისი შეპარდი გამოირჩა. 14 ქულა ნოდარ თენნიეშვილის ანგარიშზეა. სერიაში მომდევნო 2 მატჩი 7 და 8 მაისს, ბათუმში გაიმართება.

ქუთაისი-ტიტები 96:95

(27:26, 27:11, 25:25, 17:33)

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში 1-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. ქუთაისი მესამე პერიოდში 20 ქულით – 59:39 უგებდა ტიტებს, მაგრამ ლაშა გამყრელიძის განწვრთნილმა გუნდმა ბოლო პერიოდში დიდებულად ითამაშა, ჩამორჩენის გაბათილება შეძლო და, ცოტაც რომ გამართლებოდა, იმარჯვებდა. ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნის მიუხედავად, ქუთაისმა მაინც მოახერხა ლიდერობის ბოლომდე შენარჩუნება და სასურველ შედეგს მიაღწია – 96:95.

გამარჯვებულთაგან აკაკი დვალიშვილი გამორჩა, რომელსაც 28 ქულა, 19 მოხსნა (11 შეტევაში), 5 პასი დაუგროვდა. 19 ქულა ჰქონდა დავით ლომიძეს, ხოლო გიორგი ბარბაძეს – 13. სტუმართაგან კაშიმ რენსომი (24 ქულა), ჟოელ ალმეიდა (22 ქულა) და ილია ლონდარიძე (19 ქულა, 8 მოხსნა) გამოირჩნენ.

ამ წარმატების შემდეგ ქუთაისელები სერიაში 2:0 დაწინაურდნენ. მომდევნო მატჩი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

სახელმწიფო მოხელე ინტერნეტით ეროტიკულ ფოტოსურათებს ყიდდა

არგენტინის ლა-პლატას დეპარტამენტის მუნიციპალური თანამშრომელი სონია პელიცარი სამსახურიდან იმ მიზეზით დაითხოვეს, რომ ის ინტერნეტით საკუთარ ეროტიკულ ფოტოსურათებსა და ვიდეოებს ყიდიდა.

28 წლის გოგონა ამტკიცებს, რომ მისი ხელფასი დაბალი იყო და სწორედ ამიტომ დაიწყო საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვა, შემდეგ კი – პორნოგრაფიულ ვიდეოებში გადაღებაც. ამ გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს ის კომუნალური გადასახადებისა და უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდაში ხარჯავდა. გოგონამ უარი განაცხადა გაემხილა, თუ რა ოდენობის შემოსავალს იღებდა ფოტოსურათებისა და ვიდეოების გაყიდვიდან და მხოლოდ ის თქვა, რომ შემოსავალი დიდი იყო.

მან მუნიციპალიტეტში მუშაობა 2011 წელს დაიწყო, ხოლო ეროტიკული ფოტოსურათებისა და პორნოგრაფიული ვიდეორგოლების გადაღება – 2017 წელს.

პელიცარის არასოდეს დაუმალავს ეროტიკული მასალებით ონლაინვაჭრობის ფაქტი, თუმცა სამსახურიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მისმა ერთ-ერთმა ვიდეომ ვირუსული პოპულარობა მოიხვეჭა.

– ამ ვიდეოების არ მრცხვენია. ჩემმა ოჯახმა თავიდანვე იცოდა, რით ვიყავი დაკავებული, ისევე, როგორც ჩემმა კოლეგებმა, – განაცხადა პელიცარმა. მან ასევე უარყო პროსტიტუციის ბრალდება და განაცხადა, რომ ყველა მამაკაცი, რომლებიც მასთან ერთად ვიდეოში ჩანან, პროფესიონალები იყვნენ და გადაღებაში მონაწილეობაზე კონტრაქტი ჰქონდათ გაფორმებული.

მუნიციპალიტეტში კი განაცხადეს, რომ პრობლემა მდგომარეობდა არა იმაში, რომ ასეთი ფოტოები და ვიდეოები არსებობდა, არამედ იმაში, რომ გოგონა უფრო დიდ დროს უთმობდა მათ შექმნას, ვიდრე სამსახურში თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებას.

კიბოთი დაავადებული ბავშვი ალტერნატიული მედიცინის მომხრეებს ჩამოართვეს

აშშ-ის ხელისუფლებამ მშობლებს, რომლებიც უარს აცხადებდნენ, რომ ბავშვისთვის კიბოზე ემკურნალათ, შვილი ჩამოართვეს.

სამი წლის ნოა მაკადამსს მწვავე ლიმფური ლეიკოზი დაუდგინეს. დაახლოებით ორ კვირაში დედამ ბავშვი საავადმყოფოდან სახლში წაიყვანა.

– ჩვენ საავადმყოფოდან გამოვიქეცით და კიბოს უჯრედებიდან კვალიც კი არ დარჩა, – დაწერა ქალმა ფეისბუქში, – ექიმები გაოგნებული იყვნენ მისი სიძლიერითა და სწრაფი განკურნებით.

ქალმა გადაწყვიტა, ბავშვის მკურნალობა დამოუკიდებლად ალტერნატიული მედიცინის მეთოდების გამოყენებით გაეგრძელებინა. ის შვილს აძლევდა როზმარინს, აბედი სოკოს ნახარშს, ატმის კურკებსა და კოლოიდურ ვერცხლს.

როდესაც ბავშვი ქიმიოთერაპიის მორიგ კურსზე არ მივიდა, მასზე ძებნა გამოცხადდა. პოლიციამ მას კენტუკის შტატის ქალაქ ჯორჯთაუნში მიაგნო. ის მშობლებს ჩამოართვეს და მკურნალობის გასაგრძელებლად გადააგზავნეს.

ნოას მშობლებს შესაძლოა არასრულწლოვანის აღზრდის მოვალეობისთვის თავის არიდების ბრალდება წაუყენონ. მათთვის მშობლების უფლებების შენარჩუნება-ჩამორთმევის საკითხზე სასამართლო იმსჯელებს.

ბავშვის მშობლები კი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მათ შვილის მკურნალობაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ მკურნალობის იმ მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, რომელსაც უფრო ჯანსაღად მიიჩნევენ. მათ მხარში ამოუდგა ორგანიზაცია, რომელიც ვაქცინაციის მოწინააღმდეგეთა უფლებებს იცავს. მათ მომხდარს „ბავშვის სამედიცინო გატაცება“ უწოდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ევროპული ფეხბურთის ბედი დღეს მალტაზე გადაწყდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მონაწილეების გაზრდას 24-მდე აპირებენ. ხოლო ანიელი და უეფა ამის წინააღმდეგნი არიან.

იუვეს პრეზიდენტს პროექტის ჩაკეტილობა არ მოსწონს და ასევე, არც ფიფას კომერციალიზაცია ეხატება გულზე, რადგან, მისი თქმით, ფეხბურთის მმართველი ორგანო მოგებაზე ორიენტირებული არ უნდა იყოს. თუმცა, ალბათ, საქმე მხოლოდ ამაში არ არის.

ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატის დასაწყებად 2024 წელი შემთხვევით არ აურჩევიათ. ამ წელს გასდის ვადა ყველა სატელევიზიო კონტრაქტს ინგლისის პრემიერლიგაში, ხოლო ანიელის იდეა არა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგას, არამედ მის გარშემო ყველაფერს ცვლის.

მისი გეგმების მიხედვით, ყველა ლიგა დაზარალდება, თუმცა, განსაკუთრებით, ინგლისის პრემიერლიგა, რადგან სწორედ ეს ჩემპიონატი გამოიმუშავებს ყველაზე მეტს – ტელეტრანსლაციების საერთო ღირებულება 2019 წლიდან 2022 წლამდე 9 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

თუ ანიელის ოცნება ასრულდება, საქმე იქითკენ წავა, რომ ინგლისის პრემიერლიგაში კლუბების რაოდენობა შემცირდება და ტოპკლუბები აღარც მიიღებენ მასში მონაწილეობას. ინგლისში ეს ძალიან კარგად ესმით და ამიტომ ბრიტანული კლუბები აპრილში კოლექტიურად გამოვიდნენ ჩემპიონთა ლიგის რეფორმირების წინააღმდეგ.

– ყველა ერთხმად შევთანხმდით, რომ უეფა შეუსაბამოდ განიხილავს გეგმებს, რომლებიც ეროვნული ლიგების სტრუქტურასა და კალენდარს შეცვლის. ერთად ვიმუშავებთ პრემიერლიგის დასაცავად. ინგლისურ კულტურასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ფეხბურთს მნიშვნელოვანი როლი აქვს. ჩვენ შესანიშნავი კომბინაცია გვაქვს კონკურენტული ფეხბურთის და ერთგული ფანებისა, რომელთაც ჩვენ აუცილებლად დავიცავთ.

ევროპული კლუბების ასოციაციაში კი 8 ინგლისური კლუბია: არსენალი, ჩელსი, ევერტონი, ლესტერი, ლივერპული, სიტი, მანჩესტერი და ტოტენჰემი. დღევანდელი სატურნირო ცხრილის მიხედვით, ეს 8 გუნდი სწორედ ცხრილის სათავეშია, ერთადერთი ვულვზია გამოჩხერილი მე-7 ადგილით.

თუმცა, არც ერთ მათგანს საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია, მაგრამ ამის შანსი დღეს მალტაზე ექნებათ.

ერთია, ანიელიმ ინგლისური პრემიერლიგის კლუბების გადმოსაბირებლად იმაზე მეტი უნდა შესთავაზოს, ვიდრე ახლა გამოიმუშავებენ ეროვნული ჩემპიონატითა და ევროტურნირებით. თუმცა, უეფასა და იუვეს პრეზიდენტს ჯერჯერობით მყარი არგუმენტები არ გააჩნიათ და ეს მათი სუსტი წერტილია.

ძლიერი მხარე კი არაინგლისური კლუბების პოტენციური მხარდაჭერა გახლავთ, რადგან ისინი იაზრებენ, რომ მათ ბრენდებს იმაზე მეტის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე ახლა იღებენ. უბრალოდ, ბაზრის შეცვლა არის საჭირო. სწორედ ბაზარია მოსალოდნელი ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

6 მაისისთვის

ვერძი – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სიტყვიერი



1. ცდის გარეშე, იმთავითვე; 2. ბიზეს ოპერა; 3. სატურნის თანამგზავრი; 4. დავა, კამათი; 5. მიწის ფართობის ინგლისური საზომი ერთეული; 6. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 7. ქალისადმი მიმართვა აშშ-ში; 8. ფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 9. სასწორის თეფში; 10. პატარა სარწყავი არხი; 11. სპარტის მეფე, მშვენიერი ელენეს ქმარი; 12. ... ნინიძე; 13. ჭეშმარიტად!; 14. სისხლის სამართლის დანაშაული; 15. ქრისტიანული მღვდელმსხურების დროს ხმარებული ნელსაცხებელი; 16. ჯენიფერ ... (ჩოგბურთელი); 17. ხანა, ეპოქა; 18. ყაიმი; 19. მათემატიკის ნაწილი; 20. სამკურნალო პრეპარატი; 21. სასვენი ნიშანი; 22. ... პაჩინო; 23. სიგრძის ერთეულის მიკრომეტრის წინანდელი სახელწოდება; 24. ასი კვადრატული მეტრი; 25. რუმინეთის ფულის ერთეული; 26. ლადო ასათიანის მშობლიური სოფელი; 27. „კვირის ...“; 28. ქალაქი ჩილეში; 29. ნაბიჯი ბალეტში; 30. ინგლისელი მწერალი (1903-1966); 31. გი ... მოპასანი; 32. უბანი თბილისში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხლების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუპორტი; 2. ბაიადერა; 3. ჩიხურა; 4. ხიხვი; 5. ბირთვისი; 8. ფილიდორი; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. სახიობა; 18. ჯეზვე; 20. რაგუ.

თარაზულად: 6. ფუკუსიმა; 7. გრინფისი; 8. ფელახი; 9. ბრიხი; 10. ცერცვაძე; 11. კომბაინი; 15. მასტროიანი; 17. დიბალა; 19. ზვარტნოცი; 21. დარბაზი; 22. კონსტბლი; 23. ლუტეცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. რადამესი; 4. რაბათი; 5. მაღრაძე; 6. მარსალა; 11. ანოდი; 13. წალკოტი; 14. ზეთისხილი; 15. ბუდაპეშტი; 17. ასკოტი; 18. თარაზო; 19. ზებუ.

თარაზულად: 7. დღეობა; 8. კაპაბლანკა; 8. ეგრისი; 10. ჯაბადარი; 12. სარწყუნისი; 14. ზნეობა; 16. ტაილანდი; 18. თეთნულდი; 20. ბრასი; 21. სპა; 22. პორტრეტი; 23. ვიში; 24. გუბაზოული.

დემნა გვასალიას ნიუ იორკში დააჯილდოებენ

ქართველ დიზაინერ დემნა გვასალიას ნიუ იორკში დააჯილდოებენ.

7 მაისს ნიუ-იორკში პრეტ ინსტიტუტის გალაზე დემნას შემოქმედებით ჯილდოს გადასცემენ.

ბალენსიაგასა და ვეტმენტსის ხელმძღვანელის ახალ კოლექციებს მოდის სამყარო ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება. დემნას ნამუშევრები იაფი სულაც არ ღირს და თავის ნამუშევრებს საკმაოდ სოლიდურ ფასად ყიდის. ქართველი დიზაინერის კოლექციებიდან შერჩეული კოსტიუმები მსოფლიო ვარსკვლავებს აცვიათ.

ინგა ფერაძე ბრიუსელის საავადმყოფოში მოათავსეს

მომღერალი ინგა ფერაძე ბრიუსელის საავადმყოფოში მოათავსეს.

მისი მეგობრების ინფორმაციით, მომღერალი სახლში დაეცა, თავი დაარტყა და ჩაქცევა მოუვიდა:

– ჩვენი ლეგენდარული ინგა ფერაძე შეუძლოდაა. გთხოვთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეს ადამიანი, ვილოცოთ მისთვის, რომ მალე გამოჯანმრთელდეს.

ჩემო ტკბილო და გემრიელო ინგავ, საოცარი სულის ქალბატონო, სიკეთით სავსევ, ხელაპყრობილი და მუხლებზე დაჩოქილი შევთხოვ განგებას, რომ მალე გამოჯანმრთელდე და დაბრუნდე ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში. უფალი შეგეწიოს. საოცრად მიყვარხარ.

დაეცა სახლში, თავი დაარტყა და ჩაქცევა მოუვიდა. საავადმყოფოშია. ბრიუსელში.

გაგა ჩხეიძე ეროვნული კინოცენტრის დირექტორად დანიშნეს

საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს ახალი დირექტორი ჰყავს. ზურაბ მაღალაშვილი ამ თანამდებობაზე თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ხელმძღვანელმა გაგა ჩხეიძემ შეცვალა:

– ოფიციალურად გადმომცეს ქართული კინოს მართვის სადავეები, სხვა სიტყვებით კი, დამნიშნეს ეროვნული კინოცენტრის დირექტორად, მინისტრის ბრძანება № 351/კ.

გამოცხადებული ნდობისთვის მადლობას ვუხდი ყველა ჩემს მხარდამჭერს, მოწინააღმდეგეებს კი ვთხოვ, არც ერთი წუთით არ მომცენ მოდუნების საშუალება.

ჩემი მხრიდან გპირდებით ქართული კინოს წინსვლასა და აღმავლობას, ახალი შემოქმედებითი და კომერციული სიმაღლეების დაპყრობას, მუდმივ ინტენსიურ ურთიერთობას კინემატოგრაფისტებთან, ძველის დაფასებასა და ახლის აღმოჩენას.

ვფიქრობ, რომ წინ ძალიან საინტერესო სამი წელი გველის.

ყველას კიდევ ერთხელ გიდასტურებთ პატივისცემასა და სიყვარულს.

სახალხო მთქმელი გაბრიელ გარაშვილი გარდაიცვალა



სახალხო მთქმელი გაბრიელ გარაშვილი გარდაიცვალა. იგი ხალხური პოეზიის საღამოების „ლექსო არ დაიკარგები“ ხშირი მონაწილე იყო. ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოში მცხოვრებ პაპა გაბრიელს გარდაცვალებამდე საუკუნის ავტორმთქმელის სიგელიც მიანიჭეს.

სამწუხარო ინფორმაცია გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა ძალიან მაგარი ქართველი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, სახალხო მთქმელი გაბრიელ გარაშვილი.

ბედნიერი ვარ, რომ მასთან მრავალი საათი მაქვს გატარებული და ამ გენიალური კაცის ლექსისა და სიმღერის მრავალი ნიმუში მაქვს მოსმენილი.

მსუბუქი იყოს საყვარელი სამშობლოს მიწა, პაპა გაბრიელ.

მარჯანიშვილის თეატრი დაწვას გადაურჩა

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი დაწვას გადაურჩა. თეატრში სპექტაკლის დროს ხანძარი გაჩნდა, რომელიც დროულად ჩააქრეს:

– სპექტაკლის მსვლელობის დროს მოხდა მოკლე ჩართვა დამატებით სოფიტზე. კაბელს გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი გაჩენისთანავე ჩავაქრეთ. სპექტაკლი დროებით შეჩერდა და გაგრძელდა პრობლემის აღმოფხვრისთანავე, – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ლიკა ქობულაძის ინფორმაციით კი ხანძარი პარტერში დამონტაჟებულ დიდ პროჟექტორს გაუჩნდა:

– პარტერში დამონტაჟებული დიდი პროჟექტორიდან ცეცხლი ავარდა! მართალია, დროულად მოვიდა სახანძრო, მაშველები, სასწრაფოს ბრიგადები, მაგრამ მათი დახმარება, საბედნიეროდ, არ დაგვჭირდა! ჩვენი თეატრის ლომგულებმა ცეცხლი დროულად ჩააქრეს!

გია ნიკოლაძე ქართველ მეფეებზე ფილმებსა და სერიალებს ითხოვს



მომღერალი გია ნიკოლაძე ცნობილ ქართველ მეფეებზე – თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე ან გიორგი ბრწყინვალეზე სერიალებსა და ფილმებს ითხოვს:

– როდის გვეღირსება ფილმი ან სერიალი დავით აღმაშენებელზე, გიორგი ბრწყინვალეზე ან თამარ მეფეზე, სადაც გადმოცემული იქნება მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც აყვავდა საქართველო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

კატამ პატრონი კინაღამ მოგების გარეშე დატოვა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა ლატარიაში 50 ათასი დოლარი მოიგო, თუმცა თავისი ფულის მიღება მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეძლო.

ქალის თქმით, მან რამდენიმე ლატარიის ბილეთი თებერვლის ბოლოს ბალტიმორში შეიძინა და, ჩვეულებისამებრ, ისინი გვერდით გადადო.

რამდენიმე თვის შემდეგ სახლის დალაგებისას, ქალმა საწოლის ქვეშ რამდენიმე ფურცელი იპოვა, რომლებიც, სავარაუდოდ, მისმა კატამ საწოლის გვერდით მდგარი პატარა კარადიდან გადმოყარა, ხოლო მას კი ამის გამო მათი არსებობა დაავიწყდა. მათ შორის აღმოჩნდა ლატარიის ბილეთებიც. მან ისინი სპეციალურ პროგრამაში შეამოწმა.

– ჩემდა გასაკვირად, ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა! – აღიარა ქალმა. ამის შემდეგ ის ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებს დაუკავშირდა და მოგებული თანხა მიიღო.

ქალი მოგებული თანხით სახლის კეთილმოწყობას აპირებს, ხოლო მის ათ პროცენტს ეკლესიას შესწირავს.

მოდელმა ლეკვების გადარჩენა ცადა და თავად დაიღუპა

ბრაზილიელი მოდელი კაროლინა ბიტენკურტი ლეკვების გადასარჩენად ზღვაში გადახტა და დაიღუპა.

ინციდენტი კვირა დღეს ბრაზილიის კუნძულ ილიაბელას მახლობლად მოხდა.

– გემზე მხოლოდ ის, მისი მეუღლე და ლეკვები იყვნენ, – აღნიშნა მოდელის ახლო მეგობარმა, – მისი საყვარელი ლეკვები ძლიერი ქარის გამო ზღვაში გადაცვივდნენ.

ქალი დაუყოვნებლივ მათ გადასარჩენად თავადაც ზღვაში გადაეშვა, მას უკან მიჰყვა მისი მეუღლე ხორხე სესტინი, მაგრამ ქარიშხლის გამო მათ ერთმანეთი მხედველობის არედან დაკარგეს.

ბიტენკურტის აგენტის თქმით, სესტინი უშედეგოდ ცდილობდა თავისი 37 წლის მეუღლის გადარჩენას. საბოლოოდ მას რამდენიმესაათიანი ცურვა დასჭირდა ნაპირზე გასაღწევად.

სამაშველო ბრიგადა მოდელის მოსაძებნად გაეშურა, თუმცა მის ცხედარს მხოლოდ მეორე დღეს მიაგნეს, ლეკვების ბედის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

მეცნიერებმა კრევეტებში კოკაინი და კეტამინი აღმოაჩინეს

ლონდონის სამეფო კოლეჯისა და საფოლკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მტკნარი წყლის კრევეტების ორგანიზმში, რომლებიც აღმოსავლეთ ინგლისში საფოლკის საგრაფოში ბინადრობენ, კოკაინი და სხვა ნარკოტიკული პრეპარატები აღმოაჩინეს.

ნარკოტიკები აღმოჩნდა ყველა არსებაში, რომლებიც ანალიზისთვის ხუთი სხვადასხვა წყალშემკრები აუზიდან და საგრაფოს 15 სხვადასხვა ნაწილიდან ამოიღეს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ პესტიციდები, კეტამინი და ფარმაკოლოგიური პრეპარატები, რომლებიც წყლის მკვიდრი არსებების ორგანიზმებში აღმოაჩინეს, ბუნებაში მათი გამოყენების შემდეგ ხვდებიან.

საფოლკის უნივერსიტეტის პროფესორ ნიკი ბერის თქმით, კვლევები უნდა გაგრძელდეს, რათა დადგინდეს წყლის ბინადართა ორგანიზმში კოკაინის არსებობა მხოლოდ ადგილობრივ პრობლემას წარმოადგენს, თუ ისინი ასევე მთელ ბრიტანეთსა და მის ფარგლებს გარეთაც გვხვდება.

პლასტიკატნაჭამი დელფინი ნაპირზე გამოირიყა



ამერიკის ფლორიდის შტატში ნაპირზე გამოირიყა იშვიათი სახეობის მსხვილკბილა დელფინი. ამ ინფორმაციას ფლორიდის ბუნების დაცვის კომისია ფეისბუქში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე ავრცელებს.

დელფინი დაახლოებით ერთი კვირის წინ ფორტმაიერს-ბიჩის პლაჟზე აღმოაჩინეს. ის იმდენად არაქათგამოცლილი იყო, რომ შემთხვევის ადგილზე მისული ზოოლოგები იძულებულნი გახდნენ, ზღვის ცხოველი ტანჯვის შესამსუბუქებლად დაეძინებინათ.

გაკვეთის შემდეგ მსხვილკბილა დელფინის კუჭში ორი პლასტიკატის პაკეტი და საჰაერო ბუშტის ნაჭერი აღმოაჩინეს. ბიოლოგებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია იმის დადგენა, ხომ არ იტანჯებოდა ცხოველი რაიმე დაავადებით, სანამ მისი ნაპირზე გამორიყვის საბოლოო მიზეზს დაადგენენ.

– ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ აუცილებელია ერთჯერადი პაკეტების წარმოების შემცირება და საჰაერო ბურთების ჰაერში გაშვების აკრძალვა, – ხაზგასმით აცხადებენ ბიოლოგები.

გერმანიაში ზოოპარკის თანამშრომელს ორი ლომი დაესხა თავს

ორი ლომი ზოოპარკის თანამშრომელს თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ის ვოლიერში მათთვის საკვების მისაცემად შევიდა.

ინციდენტი ქვემო საქსონიის ჰოდენხაგენის კომუნაში მდებარე საფარი-პარკ „სერენგეტი-პარკში“ მოხდა. დაშავებულ მამაკაცს ვოლიერიდან თავის დაღწევაში კოლეგები დაეხმარნენ და სასწრაფო გამოიძახეს.

აღსანიშნავია, რომ მამაკაცმა სერიოზული დაზიანებები მიიღო. ამ დროისთვის ის საავადმყოფოშია, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სულ „სერენგეტი-პარკში“ 1,5 ათასზე მეტი ცხოველი ბინადრობს. მისი ტერიტორია 120 ჰექტარს აღემატება. ის 1974 წელს გაიხსნა. პარკის მთავარ განსაკუთრებულობას ის წარმოადგენს, რომ დამთვალიერებლები მასში საკუთარი ავტომობილებით გადაადგილდებიან.

ავსტრალიაში სამთვალა გველი იპოვეს



ავსტრალიის ჩრდილოეთის ტერიტორიების პარკებისა და ველური ბუნების სამსახურმა გამოაქვეყნა სამთვალა გველის ფოტოსურათი, რომელიც ადგილობრივმა მონადირემ იპოვა. ქვეწარმავლის ფოტოსურათები ფეისბუქში სამსახურის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

სამთვალა გველი, რომელსაც მოგვიანებით მონტი პაიტონი დაარქვეს, ქალაქ დარვინიდან 40 კილომეტრში შოსეზე აღმოაჩინეს. სპეციალისტების აზრით, რეპტილია ახალგაზრდა ასაკისაა. მისი სიგრძე 40 სანტიმეტრს აღწევს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქვეწარმავალი მესამე თვალითაც, რომელიც სავარაუდოდ ემბრიონული მუტაციის შედეგად წარმოიქმნა, ისევე კარგად ხედავს, როგორც დანარჩენი ორი თვალით.

– ადრე არასოდეს მინახია სამთვალა გველი, თუმცა ჩვენ ლაბორატორიაში გვყავს ორთავა კობრისმაგვარი პითონი – ეს მუტაციის სხვა ფორმაა, იმის მსგავსი, როგორსაც ჩვენ სიამის ტყუპების შემთხვევაში ვხვდებით, – განაცხადა სერპენტოლოგმა ბრაიან ფრაიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7070

ევრო — 3.0194

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5183

100 რუსული რუბლი — 4.1400

ამინდის პროგნოზი 6 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

1 მაისიდან

ალექსანდრე დიუმა

კავკასია



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

ცნობისმოყვარე მგზავრი ბორტგამცილებელ გოგონას ეკითხება:

– უკაცრავად, შეგიძლიათ მითხრათ, რას ნიშნავს ტუ-154-2ბ?

– ტუ იმას ნიშნავს, რომ ის ავიაკონსტრუქტორ ტუპოლევის მიერაა შექმნილი, 150 – მგზავრების რაოდენობას, ხოლო 4 ეკიპაჟის წევრების.

– და 2ბ?

– ეგ მე და მარინა ვართ.

●●●

ორ ველურს ხელში ჟურნალი „პლეიბოი“ ჩაუვარდა. ათვალიერებენ და შემდეგ ერთი მეორეს ეუბნება:

– ხედავ ამ თეთრკანიანებს, როგორი მენიუ ჰქონიათ?

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ნახევარი წელია ცოლს გავშორდი და წონაში 30 კილოგრამი მოვიმატე.

– მაგის განკურნება ხომ ელემენტარულია...

– როგორ?

– როგორ და ზეიმს თავი დაანებეთ.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ზაფხულში სად წამიყვან?

– დედაშენთან!

– და ახალ წელს?

– ჩამოვალ და წამოგიყვან!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ვიაგრაზე რამე გსმენია?

– ეგ რა არის?

– რა და ღამეში ქალთან ორ-სამჯერ, რომ შეძლო...

– რა, დამამშვიდებელია?

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, ვანო სახლშია?

– არა, მან ჩვენი სამყარო დატოვა.

– რა, მოკვდა?

– არა, ინტერნეტში ჩაერთო!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ვის უნდა ჰგავდეს ბავშვი?

– რა თქმა უნდა, მამას...

– სულელო! მამას კი არა ქმარს!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– წვნიანი რამდენი დაგისხა?

– რამდენიც შენთვის დაისხი.

– ამდენის ჭამით გასკდები!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აშშ-ის სილამაზის სამ მთავარ კონკურსში ფერადკანიანებმა გაიმარჯვეს

აშშ-ის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ სილამაზის სამი უმთავრესი კონკურსის გამარჯვებულები ფერადკანიანები გახდნენ.

28 წლის ჩრდილოკაროლინელმა იურისტმა ჩელსი კრისტმა „მის აშშ-ის“ წოდება მოიპოვა. გოგონამ განაცხადა, რომ ის მართლმსაჯულების ამერიკული სისტემის შეცვლასა და ასევე უსამართლოდ დაპატიმრებულთა დახმარებას ესწრაფვის.

„მის თინეიჯერ აშშ-დ“ 18 წლის კონეკტიკუტელი კაილი გერისი აღიარეს, ხოლო 2018 წლის შემოდგომაზე „მის ამერიკა 2019“-ის გამარჯვებულად 23 წლის ნია ფრანკლინი დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი კონკურსების ისტორია აშშ-ში სათავეს 1920 წლებიდან იღებს, თუმცა 50 წლის განმავლობაში ის უმეტესწილად თეთრკანიანი გოგონების მონაწილეობით მიმდინარეობდა. 1983 წელს ვანესა ულიამსი გახდა პირველი ფერადკანიანი გოგონა, რომელიც „მის ამერიკის“ ტიტულს დაეუფლა, ხოლო შვიდი წლის შემდეგ აფროამერიკელი კეროლ ენ-მარი გისტი „მის აშშ-დ“ გამოაცხადეს.

კენდალ ჯენერს დედის მიბაძვა არ სურს

რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილემ, ამერიკელმა სუპერმოდელმა კენდალ ჯენერმა განაცხადა, რომ თმების შეკრეჭა სურს, მაგრამ ამას იმის გამო არ აკეთებს, რომ თავის დედასა და შეთავსებით მენეჯერ კრის ჯენერს არ დაემსგავსოს. ამის თაობაზე გოგონა ერთ-ერთ გამოცემას ესაუბრა.

– თუ თმებს მოკლედ შევიჭრი, მაშინ დედაჩემს დავემსგავსები. მე მქონდა ფოტოსესიები, რომელზეც მოკლე თმები მომარგეს და მათში ზუსტად დედაჩემივით გამოვიყურებოდი. ეს მეტისმეტია. მე თითქოსდა მინი კრის ჯენერი ვარ. ეს პრობლემაა, – განმარტა მოდელმა.

ამასთან, გოგონამ აღნიშნა, რომ ადრე უკვე ჰქონდა თმები მოკლედ შეკრეჭილი. ბოლოს უმცროს ჯენერს მოკლე ვარცხნილობა რამდენიმე წლის წინ ჰქონდა, ახლა კი ის თმებს იზრდის

– ეს არ დამიგეგმავს, უბრალოდ, თმებს არ ვიჭრი, – განაცხადა კენდალმა და იქვე დაამატა, რომ მეგობრები მას თმების მოკლედ შეჭრისთვის აქეზებენ.

ტურისტებმა საკუთარ ჯაკუზში მონებივრე დათვი აღმოაჩინეს



აშშ-ში ტურისტები ელისაბედ სტრიკლენდი და მისი მეგობარი მამაკაცი, რომლებიც გრეის-სმოკი-მაუნტინსის ეროვნულ პარკში ისვენებდნენ, მათ ჯაკუზში მონებივრე დათვს თავზე დაადგნენ.

3 მაისს, ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის 11:00 საათზე, ელისაბედ სტრიკლენდმა და მისმა მეგობარმა მამაკაცმა გატლინბურგში თავიანთ კოტეჯში გაიღვიძეს და აღმოაჩინეს, რომ სამი შავი დათვის ბელის კამპანიაში იმყოფებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი მათ ჯაკუზში იწვა, თვალები დაეხუჭა და ცხელი წყლის აბაზანით ტკბებოდა.

– ეს ისეთი უმშვენიერესი სანახავი იყო, რომ საშუალება მივეცით, ბოლომდე დამტკბარიყვნენ ამ სიამოვნებით. ჩვენ ისინი არ შეგვიწუხებია და შემდეგ თავიანთი გზით წავიდნენ, – განაცხადა ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ელისაბედ სტრიკლენდმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პარკების სამსახური ტურისტებს ახსენებს, რომ დათვები სახიფათო და ამოუცნობ ცხოველებს წარმოადგენენ და მათთან შეხვედრის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვორდი

თარაზულად: 5. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 6. თეატრი პარიზში; 8. პერსონაჟი ჰიუგოს რომანისა „განკიცხულნი“; 10. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 11. თავადის ცოლი ან ქვრივი (ძვ.); 13. ... კარდინალე; 16. გეომეტრიული სხეული; 18. ფინური აბანო; 19. ერთგვარი რევოლვერი; 21. ღვინით მოვაჭრე (ძვ.); 22. იგივეა, რაც მაგნიტი; 23. რომეოს გვარი (შექსპირიდან).

შვეულად: 1. მოკლე მოსასხამი; 2. საჭმელი სოკო; 3. „თბილი“, შემოსავლიანი თანამდებობა; 4. ქალთა ცეკვა; 7. კაპასი, ანჩხლი; 9. კატის ნაშიერი; 12. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 14. ... პეტროსიანი; 15. ბაღის თეთრყვავილიანი მცენარე; 17. საზეიმო წვეულება; 20. ჯვრიდან ჩამოხსნილი ქრისტეს დატირების გამომსახველი ნახატი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ